



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

“ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების” რუსულენოვანი სამაგისტრო
საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 2021 წლის 1-2 დეკემბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 28.01.2022

თბილისი
2022 წელი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა, აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ნავთობისა და გაზის მოპოვების ტექნოლოგიის მაგისტრი Master of Oil and Gas Technology
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	სამთო საქმე და მოპოვება 0724 Mining and Extraction 0724
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	რუსული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო დონდოლაძე, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია,	კახა ქოიავა, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ქვეყანა)	სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი რობაქიძე - საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მიხეილ ბიჭია, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (მოწვეული ლექტორი), საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით ფუტყარაძე, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი (სტუდენტი), საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

კავკასიის რეგიონში საქართველოს ნავთობის მრეწველობის განვითარების ისტორია გასული საუკუნის დასაწყისიდან იწყება. საქართველოში აღმოჩენილია ბუნებრივი ნახშირწყალბადების ორ ათეულზე მეტი საბადო. დღეისათვის მოძიებულია პერსპექტიული სტრუქტურები, რომლებიც საყურადღებოა მასში არსებული პროგნოზული რესურსებით. მათი აღმოჩენა ხელს შეუწყობს დარგის განვითარებას. შესაბამისად, განსაკუთრებით პრიორიტეტულია ამ დარგის მაღალკვალიფიციური და პროფესიონალი კადრების მომზადება. სწორად ამ მიზნით მომზადდა მაგისტრატურის რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები“.

ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ნავთობისა და გაზის დარგში მიღებული თეორიული და პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე დაყრდნობით, ასევე, უცხოური უნივერსიტეტების ანალოგი საგანმანათლებლო პროგრამების შესწავლით, ანალიზითა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით. პროგრამის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა ევროპული უნივერსიტეტების გამოცდილება: სამეცნიერო - ტექნიკური უნივერსიტეტი, კრაკოვი, პოლონეთი აბერდინის უნივერსიტეტი, ხარკოვის პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

პროგრამა დამტკიცებულია სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 29 ივლისის № 01-05-04/102 დადგენილებით.

სასწავლო კურსების სწავლება, ძირითადად, ეფუძნება სააუდიტორიო მუშაობას, პრაქტიკასა და სტუდენტის დამოუკიდებელ მუშაობას. სააუდიტორიო სამუშაოს ფორმებს: ლექცია, სემინარი/ჯგუფში მუშაობა და პრაქტიკულ/ლაბორატორიული მეცადინეობები, სწავლის პროცესში შემთხვევის ანალიზის, დისკუსიის, დებატების, წერითი მუშაობის, პრობლემებზე დაფუძნებული სწავლების, დემონსტრირების, ანალიზის და სინთეზის მეთოდებს.

სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით წარმოებული დისტანციური ინტერვიუების შედეგად, ექსპერტთა ჯგუფმა გამოკვეთა, რომ პროგრამის შემუშავებაში, ძირითადად, ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე - კურსდამთავრებულებისა და პოტენციური დამსაქმებლებისაგან მიღებული ინფორმაციის განალიზების, ასევე დარგის მოთხოვნების გათვალისწინებით. იგი ეთანხმება დარგში არსებულ გამოწვევებს და დამუშავებულია სწავლის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.

პროგრამის თანმხლები დოკუმენტაცია სრულად მოიცავს საჭირო ინფორმაციასა და ლოგიკურად ებმის ერთმანეთს. ინტერვიუების დროს გამოჩნდა პროგრამის შემუშავებაში ხელმძღვანელობისა და პერსონალის ჩართულობა.

▪ **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 11 ნოემბრის N MES 5 21 0001214739 ბრძანებით 2021 წლის 1-2 დეკემბერს შედგა დისტანციური ვიზიტი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების რუსულენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ვიზიტამდე წინამოსამზადებელ შეხვედრაზე ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა გაუზიარეს ერთმანეთს ძირითადი კითხვები და ზოგადი მიგნებები.

ქვეყანაში არსებული COVID-19 პანდემიიდან გამომდინარე, პროგრამის შეფასება განხორციელდა ნაწილობრივ დისტანციურად. კერძოდ, 1 დეკემბერს ვიზიტი შედგა კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების, კერძოდ, ონლაინპლატფორმა Zoom-ის გამოყენებით, 2 დეკემბერს კი ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა სტუ-ში ვიზიტის ფარგლებში, დაათვალიერეს დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური რესურსი (სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები, ასევე ცენტრალური და ფაკულტეტის ბიბლიოთეკა).

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი წინასწარ გაეცნო სააკრედიტაციო მასალას, ხოლო დაწესებულებაში შეფასების მიმდინარეობის დროს ექსპერტები შეხვდნენ პროგრამაში ჩართულ მხარეებს. შედგა დღის წესრიგით გათვალისწინებულ ყველა ფოკუს-ჯგუფთან შეხვედრა. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა უზრუნველყვეს კომისიის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაციისა და მტკიცებულებების წარდგენა. შეხვედრა შედგა კოლეგიალურ და კეთილგანწყობილ გარემოში.

პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა - ნავთობისა და გაზის მოპოვების ტექნოლოგიის მაგისტრი / Master of Oil and Gas Technology

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შეჯამება

უმადლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნის პროექტზე მოგვაწოდა არგუმენტირებული პოზიცია და გარკვეული ცვლილებების ანგარიში იმ რეკომენდაციების ფარგლებში, რომელთაც ეთანხმება. რეკომენდაციების ნაწილზე, რომელთაც დაწესებულება არ ეთანხმება, მოკლედ წარმოგიდგენთ ექსპერტთა ჯგუფის არგუმენტირებულ პოზიციას. კერძოდ:

რეკომენდაცია 1. (სტანდარტი 1.2): რეკომენდებულია, წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგებში აისახოს ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მესამე ელემენტი „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“.

უნივერსიტეტის პოზიცია: მიგვაჩნია, რომ შედეგში: „ საწარმოო-ტექნოლოგიური, ახდენს ორგანიზაციულ-მმართველობითი და საპროექტო საქმიანობისადმი მზადყოფნის, ზეპირი და წერიტი საქმიანი კომუნიკაციის ეთიკური ნორმებისა და კულტურათაშორისი ენობრივი კომპეტენციების ფასეულობების იმ ამოცანების გადასაწყვეტად, დემონსტრირებას, რომლებიც

დაკავშირებულია მეზნა-ძიებითი სამუშაოების ინოვაციური მეთოდების შემუშავებასთან, ნავთობისა და გაზის ჭაბურღილების ბურღვასთან, ნახშირწყალბადების საბადოების დამუშავებასა და ექსპლუატაციასთან, მათ ტრანსპორტირებასა და შენახვასთან“ ინტეგრირებულია ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მესამე ელემენტი „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“ და პასუხობს მე - 7 დონის აღმწერს „კომპლექსური, არაპროგნოზირებადი ან მულტიდისციპლინური სასწავლო ან/და სამუშაო გარემოს მართვა და ადაპტირება ახალი სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით“.

ექსპერტა ჯგუფის პოზიცია: ექსპერტა ჯგუფმა გადახედა წარმოდგენილ რეკომენდაციას და ჩათვალა, რომ ის ადვილად აღმოფხვრადია და მის დაზუსტებას დიდი დრო არ სჭირდება. ამასთან, უნივერსიტეტის წარმომადგენელი თავისსავე პასუხში გვწერს, რომ პროგრამით გათვალისწინებული ერთ-ერთ სწავლის შედეგში ინტეგრირებულია პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის კომპონენტი. მართალია, ეს ელემენტი ნათლად ვერ იკითხება პროგრამის სწავლის შედეგებში, მაგრამ ამ პასუხით უნივერსიტეტი ფაქტობრივად იზიარებს ჩვენს რეკომენდაციას და ადასტურებს, რომ „პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის“ კომპონენტი მნიშვნელოვანია აღნიშნული პროგრამისთვის. თუმცა ამ მომენტისთვის, ვფიქრობთ, არაა აქტუალური მსგავს მიდგომაზე აპელირება რეკომენდაციის სტატუსით. ამიტომ ექსპერტა ჯგუფი მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტი მეტ სინათლეს შეიტანს ამ საკითხთან დაკავშირებით პროგრამაში და ეს რეკომენდაციაც შესაძლებელია გადავიდეს რჩევათა კატეგორიაში.

რეკომენდაცია 2. (2.2. სტანდარტი): მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა აკადემიური წერის სტანდარტების შესახებ სასწავლო კომპონენტი გაითვალისწინოს სავალდებულო კომპონენტთა შორის, რათა სტუდენტებს მისცეს სამაგისტრო ნაშრომის კვალიფიციურ დონეზე შესრულების ცოდნა და უნარები.

უნივერსიტეტის პოზიცია: უნივერსიტეტი იზიარებს რეკომენდაციას.

ექსპერტა ჯგუფის პოზიცია: მართალია, უნივერსიტეტი იზიარებს 2.2 სტანდარტში ასახულ რეკომენდაციას აკადემიური წერის სტანდარტების სავალდებულო კომპონენტად გამოყოფის თაობაზე, მაგრამ ამ მიგნებას მჭიდრო კავშირი აქვს 2.3 სტანდარტის ერთ-ერთ რეკომენდაციასთან „კვლევის მეთოდების“ სასწავლო კურსის შემოღებასთან, მით უფრო, რომ სამაგისტრო ნაშრომის კვალიფიციურად შესრულება კვლევის მეთოდებით მიიღწევა, რის გამოც ჩათვალა, რომ საჭიროა დასკვნაში მცირედი ცვლილების შეტანა. სახელდობრ, ექსპერტა ჯგუფი მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტის პასუხის გათვალისწინებით, უმჯობესია, ამ ორი მიგნების გაერთიანება 2.2 სტანდარტის რეკომენდაციაში: მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა „აკადემიური წერისა და კვლევის მეთოდების“ და/ან „პროექტის შემუშავების“ შესახებ სასწავლო კურსები გაითვალისწინოს სავალდებულო კომპონენტთა შორის, რათა სტუდენტებს მისცეს სამაგისტრო ნაშრომის კვალიფიციურ დონეზე შესრულების ცოდნა და უნარები.

რეკომენდაცია 3. (2.3. სტანდარტი): რეკომენდირებულია, წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებდეს ისეთ სასწავლო კურსებს, როგორცაა:

1. „შრომის უსაფრთხოება“;
2. „კვლევის მეთოდები“ და/ან „პროექტის შემუშავება“, რათა სწავლის შედეგების სრულად უზრუნველყოფა იყოს შესაძლებელი.

უნივერსიტეტის პოზიცია: უნივერსიტეტი არ თვლის მიზანშეწონილად მაგისტრატურის საფეხურზე ცალკე სასწავლო კურსად „შრომის უსაფრთხოების“ ჩასმას, რადგან აღნიშნული სასწავლო კურსი ისწავლება რუსულენოვან საბაკალავრო პროგრამაში სახელწოდებით „შრომის დაცვა“, სადაც განხილულია საკითხები ნავთობგაზის საწარმოებში შრომისათვის უსაფრთხო და ჯანმრთელი პირობების შესაქმნელად. ამას გარდა, იმ აპლიკანტებისთვის, რომლებსაც არ დაუსრულებიათ ნავთობისა და გაზის მოპოვების ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამა, სასპეციალიზაციო გამოცდაში ინტეგრირებულია შრომის უსაფრთხოების საკითხები. ასევე, მაგისტრატურის რიგ სასწავლო კურსებში ჩაშლილია შრომის უსაფრთხოების საკითხები. მაგალითად; სასწავლო კურსში „თანამედროვე საბურღი ტექნოლოგიური სითხეები“ განიხილება შრომის უსაფრთხოების მოთხოვნები, სახანძრო უსაფრთხოება, შრომის დაცვა გამრეცხი ხსნარების დეგაზაციის დროს. სასწავლო კურსში „საწარმოო პრაქტიკა ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიებში“ განიხილება უსაფრთხოების ტექნიკა ჭაბურღილების ბურღვისას, ექსპლუატაციისას, ჭაბურღილების გამოკვლევისას და ა. შ. რაც შეეხება კვლევის მეთოდებს და პროექტის შემუშავებას, კვლევის მეთოდები, რომელიც დამახასიათებელია დარგისათვის, ფართოდ და საფუძვლიანად ჩვენს პროგრამებში ისწავლება მე-8 საფეხურზე (მაგალითად, დოქტორანტურის ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამაში „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები“, აღნიშნულ საკითხებს განიხილავს სასწავლო კურსი „კვლევის მეთოდები ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიებში“). წარმოდგენილ სამაგისტრო პროგრამაში კვლევის მეთოდები ინტეგრირებულია სხვადასხვა სასწავლო კურსებში (ნახშირწყალბადების ტრადიციული და არატრადიციული რესურსები, ჭაბურღილების გეოფიზიკური კვლევები, ნავთობგაზის ჰიდროგეოლოგია, ნავთობზე და გაზზე გეოლოგიურ-სამიეზო სამუშაოების პროექტირება და მართვა, თანამედროვე საბურღი ტექნოლოგიური სითხეები, ნაპრალოვანი კოლერექტორების დამუშავება, თანამედროვე გეოდინამიკა ნავთობგაზის საქმეში, ნავთობისა და გაზის ძებნისა და ძიების ტექნოლოგია შელფზე). პროექტის შემუშავების ელემენტებს სტუდენტი ეუფლება ბაკალავრიატის სტადიაზე, სადაც რიგ სასწავლო კურსებში (ნავთობგაზიანი ფენის ფიზიკა, ნავთობის, გაზის და კონდენსატის მარაგების გამოთვლის მეთოდები და რესურსების შეფასება, ნავთობისა და გაზის დაგროვებების ძიებისა და დაზვერვის მეთოდები, ნავთობისა და გაზის შეკრება, მომზადება და ტრანსპორტირება) ინტეგრირებულია საკურსო პროექტები, ამიტომ მაგისტრატურის დონეზე ცალკე სასწავლო კურსად პროექტის შემუშავებას არ ვთვლით მიზანშეწონილად. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვთვლით, რომ ეს რეკომენდაცია უნდა ატარებდეს რჩევის ხასიათს.

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია: უშუალოდ დარგობრივი თვალსაზრისით, დარგის სპეციფიკისა და დამსაქმებელთა რეკომენდაციების გათვალისწინებით, აისახა ექსპერტთა დასკვნაში რეკომენდაცია „შრომის უსაფრთხოების“ კურსის შემოღების შესახებ. ამასთან, აღნიშნულს დიდი მნიშვნელობა აქვს სწავლის შედეგების მიღწევისთვის. ამიტომ ექსპერტთა ჯგუფს მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ „შრომის უსაფრთხოების“ სასწავლო კურსის შემოტანის შესახებ რეკომენდაცია დარჩეს და ფორმულირება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

რეკომენდებულია, სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებდეს „შრომის უსაფრთხოების“ სასწავლო კურსს სწავლის შედეგების სრულად უზრუნველყოფისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების გათვალისწინების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის პოზიციას, რომ სხვა სტანდარტების რეკომენდაციები უცვლელად დარჩეს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

▪ რეკომენდაციები

2.1. სტანდარტთან დაკავშირებით:

1. რეკომენდებულია, დაზუსტდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები იმ აპლიკანტებისთვის, რომლებსაც არ დაუსრულებიათ ნავთობისა და გაზის მოპოვების ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამა ან მასთან მჭიდროდ დაკავშირებული, სხვა პროგრამა ადეკვატური ცოდნისა და უნარების დადასტურების მიზნით

2.2. სტანდარტთან დაკავშირებით:

1. მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა „აკადემიური წერისა და კვლევის მეთოდების“ და/ან „პროექტის შემუშავების“ შესახებ სასწავლო კურსები გაითვალისწინოს სავალდებულო კომპონენტთა შორის, რათა სტუდენტებს მისცეს სამაგისტრო ნაშრომის კვალიფიციურ დონეზე შესრულების ცოდნა და უნარები.
2. მიზანშეწონილია, საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში და სამაგისტრო პროგრამაში მოცემულ სასწავლო გეგმაში სასწავლო კომპონენტთან დაკავშირებით მცირე უზუსტობის აღმოფხვრა (სასწავლო კურსები): სავალდებულო – 76ECTS, არჩევითი - 14 ECTS. კვლევითი კომპონენტი - 30 ECTS, ხოლო სამაგისტრო პროგრამის აღწერაში კი ასეა გაწერილი: სავალდებულო – 75ECTS. არჩევითი - 15 ECTS, კვლევითი კომპონენტი - 30 ECTS.

2.3. სტანდარტთან დაკავშირებით:

1. რეკომენდებულია, სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებდეს „შრომის უსაფრთხოების“ სასწავლო კურსს სწავლის შედეგების სრულად უზრუნველყოფისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების გათვალისწინების მიზნით.

2.5. სტანდარტთან დაკავშირებით:

1. რეკომენდებულია, რამდენიმე საგნის სილაბუსში სწავლება-სწავლის მეთოდების გამრავალფეროვნდეს ანალიტიკური უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული მეთოდების გამოყენებით; ასევე, ნათლად და ცალ-ცალკე ჩანდეს სწავლების მეთოდები და აქტივობები.

2.6. სტანდარტთან დაკავშირებით:

1. რეკომენდებულია, დაიგეგმოს სასწავლო კურსების („ნავთობგაზის ჰიდროგეოლოგია“, „ნახშირწყალბადების ტრადიციული და არატრადიციული რესურსები“, „საბადოების დამუშავების მართვა“, „თანამედროვე საბურღი ტექნოლოგიური სითხეები“, „გართულებებისა და ავარიების გაფრთხილება და ლიკვიდაცია“ და სხვა) სილაბუსით განსაზღვრული აქტივობები მათი შეცვლა-შემცირების გზით ისე, რომ შეფასება სემესტრის განმავლობაში რეალიზებადი იყოს.
2. რეკომენდებულია, სასწავლო კურსების - „ნახშირწყალბადების ტრადიციული და არატრადიციული რესურსები“ და „ნავთობის ნავთობპროდუქტებისა და გაზის

ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნოლოგია“ შეფასების კომპონენტები, სისტემა და რუბრიკები არ იყოს უნიფიცირებული, ხოლო ზოგიერთი საგნის („ნავთობგაზის ჰიდროგეოლოგია,“ „თანამედროვე საბურღი ტექნოლოგიური სითხეები“ და სხვა) სილაბუსში შეფასების მეთოდები გამრავალფეროვნდეს ანალიტიკური დავალებებით.

3.1. სტანდარტთან დაკავშირებით:

1. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს რუსულ ენაზე საუნივერსიტეტო სერვისებისა და ინფორმაციის (მათ შორის სამაგისტრო ნაშრომის მომზადების ინსტრუქცია კვლევის მიზნების, ამოცანების, საკვლევი კითხვის, ჰიპოთეზისა (დაშვების/ვარაუდის) და კვლევის მეთოდოლოგიის შესახებ) მიწოდება რუსულენოვანი სტუდენტებისათვის.

5.1. სტანდარტთან დაკავშირებით:

1. რეკომენდებულია, დაიხვეწოს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, მეტი ეფექტიანობის მისაღწევად ცალ-ცალკე შეფასდეს სასწავლო პროცესი, კურსები და პროფესორ-მასწავლებელთა საქმიანობა; ასევე, ყოველსემესტრული შედეგების თაობაზე სისტემატურად მიეწოდოს ლექტორებს ინფორმაცია;
2. მიზანშეწონილია „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შესრულებული ნაშრომის პლაგიატის არსებობაზე შემოწმების წესის“ დახვეწა ისე, რომ ის გავრცელდეს სამაგისტრო ნაშრომზეც და გადაიხედოს მსგავსების კოეფიციენტის დასაშვებობის ნიშნული.

5.3. სტანდარტთან დაკავშირებით:

1. რეკომენდებულია, აქცენტები გაკეთდეს მონიტორინგის ღონისძიებების დახვეწაზე, პროგრამაში არსებული ნაკლოვანებების გამოვლენა-შევსებაზე, მათ შორის სამაგისტრო ნაშრომების შეფასების კრიტერიუმების, კვლევების აკადემიური სტანდარტების დახვეწასა და სილაბუსების ფორმალური მხარის დაცვის შეფასებაზე.

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1.2. სტანდარტთან დაკავშირებით:

1. სასურველია, მაგისტრანტისათვის საჭირო საკურსო პროექტირების პრაქტიკული უნარის გამოსამუშავებლად სასემინარო საათები შეიცვალოს საკურსო სამუშაო/პროექტით ან პრაქტიკული მეცადინეობით;
2. სასურველია, „საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე“ სასწავლო კურსის წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსისა „დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა“.
3. სასურველია, წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგებში უფრო ნათლად აისახოს ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მესამე ელემენტი „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“.

2.1. სტანდარტთან დაკავშირებით:

1. სასურველია, პროგრამაში ნათლად აისახოს სამაგისტრო პროგრამაზე არასახელმწიფო ენაზე სწავლისა და აპლიკანტის მიერ ამ ენის შესაბამის დონეზე ფლობის დადასტურების საკითხები.

2.2. სტანდარტთან დაკავშირებით:

1. მიზანშეწონილია, რომ პროგრამაში შემავალი სასწავლო კომპონენტების კატეგორიზაცია ან უფრო მკაფიოდ განხორციელდეს, რომლის მიხედვითაც ცხადი იქნება სტუდენტთათვის სავალდებულო და არჩევითი საგნების თაობაზე ინფორმაცია,

2.3. სტანდარტთან დაკავშირებით:

1. სასურველია, უზრუნველყოფილ იქნეს ციფრული ტექნოლოგიის პირობებში კომპიუტერული პროგრამების ფლობა;
2. სასურველია, სილაბუსებში დამხმარე ლიტერატურად დამატებით აისახოს ფრანგულ და გერმანულ ენებზე არსებული შესაბამისი ნაშრომები.

2.6. სტანდარტთან დაკავშირებით:

1. სასურველია, სამაგისტრო ნაშრომის შეფასების არსებულ კრიტერიუმების ქულები გადანაწილდეს 100-ქულიან სისტემაზე.

3.1. სტანდარტთან დაკავშირებით:

1. სასურველია, უნივერსიტეტმა საერთაშორისო კონფერენციებსა და გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად შესაბამისი ღონისძიებების გაატაროს.

3.2. სტანდარტთან დაკავშირებით:

1. სასურველია, დეტალურად გაიწეროს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში სამაგისტრო თემის ხელმძღვანელთან ურთიერთობის (მაგალითად კონსულტაციები) პროცედურები, დაზუსტდეს მაგისტრანტის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები, დადგინდეს ერთ ხელმძღვანელზე მაგისტრანტების რიცხვი.

4.2. სტანდარტთან დაკავშირებით:

1. სასურველია, უნივერსიტეტმა გააგრძელოს პროფესორ-მასწავლებელთა მიერ პროფესიული განვითარების კურსებისა თუ ტრენინგების გავლის მიმართულებით მხარდაჭერა, ასევე, უზრუნველყოს მიღებული მონაცემების აქტიურ პრაქტიკაში ინტეგრირება.
2. სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს პერსონალის განვითარების მიზნებისათვის მათი მონაწილეობა უცხოელი სპეციალისტების მიერ განხორციელებულ ლექცია-სემინარებსა თუ ტრენინგებში, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით, როგორც პროფესიაში ახალი ტენდენციების, ისე სწავლა-სწავლების მეთოდებისგაცნობის უზრუნველსაყოფად.

4.4. სტანდარტთან დაკავშირებით:

1. სასურველია, სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტის დოკუმენტში უფრო დეტალურად აისახოს პროგრამის საჭიროებებისთვის აუცილებელი ხარჯები.

5.1. სტანდარტთან დაკავშირებით:

1. სასურველია მუდმივი განვითარების მიზნით პროგრამის გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება და მათი აღმოფხვრის ღონისძიებების დაგეგმვა;
2. პროგრამის მუდმივი განვითარების კონტექსტში სასურველია, დამსაქმებლებთან ხშირი კომუნიკაცია წარმოებდეს და შიდა აქტები ითვალისწინებდეს გარკვეული პერიოდულობით დამსაქმებლებისგან რჩევების მიღებას.

5.2. სტანდარტთან დაკავშირებით:

სასურველია, გარე ექსპერტის და უცხოელი კოლეგების მიერ გამოთქმული რეკომენდაციების, ასევე, უცხოური პროგრამების დადარებისას არსებული გამოცდილების უფრო მეტად გათვალისწინება პროგრამის მუდმივი დახვეწის მიზნით.

5.3. სტანდარტთან დაკავშირებით:

სასურველია, უნივერსიტეტმა ცალკე დოკუმენტად შეიმუშავოს ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი და მან მოიცვას სასწავლო პროცესის სრული ციკლი, კერძოდ, გარდა ელექტრონული სწავლების პორტალზე განთავსებული მონაცემებისა, სასწავლო პროცესის მართვის შესახებ საკვანძო საკითხები (შუალედური და ფინალური გამოცდების ჩატარება, ლექციების ჩაწერის დასაშვებობა, შინაარსობრივი საკითხების შესახებ მხარდაჭერა და სხვა).

▪ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

1. პროგრამის აკადემიურ პერსონალს გააჩნია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო შესაბამისი კომპეტენცია. ასევე, პროფესორ-მასწავლებლებს აქვთ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის გამოცდილება. პერსონალის დიდი ნაწილი აკადემიური საქმიანობის პარალელურად ეწევა პრაქტიკულ საქმიანობას სფეროს წამყვან დამსაქმებელ ორგანიზაციებში წამყვან თანამდებობებზე. სამაგისტრო პროგრამას ხელმძღვანელობს კვალიფიციური პროფესორი, რომელსაც მრავალწლიანი სამეცნიერო-პედაგოგიური სტაჟი და მდიდარი პრაქტიკული გამოცდილება აქვს. ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი სამეცნიერო მიღწევები. ამასთან, დაწესებულება ხელს უწყობს პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის, სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნების, საჭიროებისას კი თარგმანის უზრუნველყოფაში შესაბამისი ფინანსური რესურსების გამოყოფით.
2. პროგრამის მიზნებისათვის არსებობს ნავთობისა და ბუნებრივი გაზის ფიზიკურ-ქიმიურ კვლევის ლაბორატორია და საბურღი ხსნარების ლაბორატორია. ლაბორატორიები აღჭურვილია ხელსაწყო-დანადგარებით, რომლებიც გამოიყენება ნახშირწყალბადების ფიზიკურ-ქიმიური კვლევისათვის, საბურღი ხსნარის პარამეტრების განსაზღვრისათვის. გარდა ამისა, არსებობს საბურღი დანადგარის მაკეტი, ქანმომწგრევი იარაღები, ავარიის საწინააღმდეგო ხელსაწყოები, ფენის გამომცდელი – „პაკერი“, პნევმოსაბურავი ჯალამბრისათვის და სხვა ხელსაწყო-ინსტრუმენტები.

▪ ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1. პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მასალებიდან, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში საექსპერტო ჯგუფის უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან შეხვედრის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ პროგრამის მიზნები ლოგიკურად და ნათლადაა ჩამოყალიბებული, კერძოდ, პროგრამის მიზანია

- სტუდენტებს მისცეს ღრმა, სისტემური ცოდნა ნახშირწყალბადების ნედლეულის ათვისების, ტრანსპორტირებისა და შენახვის სფეროში, თანამედროვე მიღწევებისკრიტიკული ანალიზით, შეფასებითა და დასკვნების ჩამოყალიბებით;
- შესძინოს დამოუკიდებელი კვლევითი, საპროექტო და სამრეწველო-ტექნოლოგიური მოღვაწეობის უნარები ნავთობისა და გაზის საბადოების ძებნა-ძიებასა და დამუშავებაში, ჭაბურღილების ბურღვაში, ნახშირწყალბადების ტრანსპორტირებასა და შენახვაში;
- განუვითაროს აუცილებელი პროფესიული კომპეტენციები ნავთობგაზის დარგშიწარმატებული მუშაობისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ისინი მორგებულია დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს, რეალისტური და მიღწევადია. პროგრამის დამუშავების პროცესში ჩართულნი იყვნენ დამსაქმებლები.

აღსანიშნავია ისიც, რომ პროგრამის მიზანი და სწავლის შედეგები ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული, ნათლადაა ჩამოყალიბებული და შეესაბამება დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს და მიღწევადია. პროგრამის განხორციელების აუცილებლობა განპირობებულია ნავთობმრეწველობის დარგის თანამედროვე გამოწვევებით, ნავთობითა და გაზით მდიდარი მეზობელი რეგიონების შრომის ბაზრის მოთხოვნებით კვალიფიციურ კადრებზე. პროგრამის შექმნის პროცესში დამსაქმებლებთან ერთად ჩართულები იყვნენ კურსდამთავრებულები, მათთან შეთანხმებული და ჩამოყალიბებული იქნა კურსდამთავრებულთა საქმიანობის საზღვრები და ჩამოყალიბებული იქნა შესაბამისი მისაღწევი სწავლის შედეგები.

პროგრამის მიზანი შეესაბამება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისიას შექმნას ისეთი აკადემიური გარემო, რომელიც ინდივიდს შესაძლებლობას მისცემს ჩამოყალიბდეს

მაღალკვალიფიციურ კადრად, აღიზარდოს დამოუკიდებელ პიროვნებად, თავისუფალი და დემოკრატიული სამყაროს სრულფასოვან წევრად; მაქსიმალურად შეუწყოს ხელი უნივერსიტეტის თითოეული წევრის საზოგადოებრივ და აკადემიურ თვითგანვითარებასა და თვითრეალიზებას, რაც თანამედროვე თავისუფალი, დემოკრატიული საზოგადოების არსებობის აუცილებელი პირობაა. ცხადია, ამ მისიის შესაბამისად, უნივერსიტეტი მიზნად ისახავს უზრუნველყოს:

- აკადემიური უმაღლესი განათლების განხორციელება თავისუფალი ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით და, იმავდროულად შეინარჩუნოს სამეცნიერო და აკადემიური ცოდნის მნიშვნელობა და ღირებულება;
- მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისა და კვალიფიკაციის ამაღლების მოქნილი სისტემის დანერგვა და განვითარება;
- უნივერსიტეტის პერსონალის აკადემიური თავისუფლება (რაც მოიცავს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის, სტუდენტის სწავლის, სწავლებისა და კვლევის თავისუფლებას, მობილობის შესაძლებლობებს);
- ფაკულტეტის ვებგვერდზე განთავსებული საგანმანათლებლო პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები“;
- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის წესდება;
- უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- უნივერსიტეტის სტრუქტურა;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისია, ხედვა და ღირებულებები;
- ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმა;
- შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2. პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

როგორც საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მასალებიდან, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში საექსპერტო ჯგუფის უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან შეხვედრის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობასა პროგრამის მიზნებთან, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს აღწერასთან და უზრუნველყოფს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი შეიძენს პროგრამის დასრულებისას.

ამასთან პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, რომელიც ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს და საშუალებას იძლევა დადგინდეს, თუ რამდენად მიაღწიეს კურსდამთავრებულებმა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს;

ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ პროგრამის შექმნის პროცესში აკადემიურ პირებთან ერთად ჩართულები იყვნენ სტუდენტები, კურსდამთავრებულები, და დამსაქმებლები. მათთან თანამშრომლობით გამოვლინდა საქმიანობის კვალიფიკაციასთან შესაბამისობა და ჩამოყალიბებული იქნა შესაბამისი მისაღწევი სწავლის შედეგები.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის სწავლის შედეგები გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია, ამასთან, შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. თუმცა მთლიანობაში სასწავლო კურსები თანმიმდევრულია და უზრუნველყოფს საბოლოო შედეგზე გასვლას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ

1. წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამიდან და პროგრამის კურიკულუმიდან ირკვევა, რომ პირველი კურსის პირველ სემესტრში არჩევით სასწავლო კურსების ბლოკში მოცემულია სასწავლო კურსი „საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე“ და ეს სასწავლო კურსი მოცემულია ინგლისური, ფრანგული, გერმანული და რუსული ენებისათვის. ხოლო იმავე პირველი კურსის მეორე სემესტრში კი სასწავლო კურსი „დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა“ ასევე ინგლისური, ფრანგული, გერმანული და რუსული ენებისათვის. სასურველი იქნებოდა, სასწავლო კურსი „საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე“ ყოფილიყო წინპირობა სასწავლო კურსისა „დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა“.

2. წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კურსებში ლექცია/პრაქტიკული/საკურსო სამუშაო/ლაბორატორიული სამუშაოსთან ერთად რიგ სასწავლო კურსებში გათვალისწინებული სემინარული მეცადინეობა. სასურველი იქნებოდა მაგისტრანტისათვის საჭირო საკურსო პროექტირების პრაქტიკული უნარის გამოსამუშავებლად სასემინარო საათები შეცვლილიყო საკურსო სამუშაო/პროექტით ან პრაქტიკული მეცადინეობით.

სამაგისტრო პროგრამის მიზნების, დოკუმენტაციის, სასწავლო კურსების სილაბუსების, ინტერვიუს ანალიზის შედეგები ადასტურებს, რომ კურსდამთავრებულისთვის უმნიშვნელოვანესია არაპროგნოზირებადი და სამუშაო გარემოს მართვა-ადაპტირება ახალი

სტრატეგიული მიდგომების დახმარებით, ასევე, სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებლობის აღება, სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა. ვიანაიდან ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მესამე კომპონენტი „პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის“ სახით ნათლად ვერ იკითხება პროგრამის სწავლის შედეგებიდან, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დგინდება პროგრამის სწავლის შედეგებში პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ასახვის საჭიროება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის მიზნების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- კურსდამთავრებულთა კვლევის ანალიზი;
- ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მოთხოვნები;
- ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. სასურველია, მაგისტრანტისათვის საჭირო საკურსო პროექტების პრაქტიკული უნარის გამოსამუშავებლად სასემინარო საათები შეიცვალოს საკურსო სამუშაო/პროექტით ან პრაქტიკული მეცადინეობით;
2. სასურველია, „საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე“ სასწავლო კურსის წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსისა „დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა“.
3. სასურველია, წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგებში აისახოს ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მესამე ელემენტი „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთა შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან	V			

პროგრამის შესაბამისობა				
------------------------	--	--	--	--

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში პროგრამაზე დაშვების წინაპირობა შემდეგნაირადაა ფორმულირებული:

სტუ-ში ჩარიცხვა რეგულირდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდებით და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციით. პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.

შემდგომ, მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩარიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები). გამოცდების საკითხები/ტესტები განთავსდება სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის ვებგვერდზე: <https://gtu.ge/Study-Dep/News/?ELEMENTID= 15211> გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე. პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველებმა ასევე უნდა წარმოადგინონ უცხოური ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი შესაბამისი სერტიფიკატი ან უნდა ჩააბარონ გამოცდა სტუ - ს საგამოცდო ცენტრში.

როგორც თვითშეფასების ანგარიშშია მითითებული მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე საქართველოს არასახელმწიფო ენაზე სწავლისას, აუცილებელია აპლიკანტი ფლობდეს ამ სასწავლო ენას სულ მცირე B2 საფეხურის შესაბამის დონეზე. ენის ცოდნის დონის შემოწმების მიზნით აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს საერთაშორისო სერტიფიკატის TORFL II საფეხურის სერტიფიკატი (რაც შეესაბამება ტესტირების ALTE ევროპული სისტემის B2 საფეხურს), სწავლების ენის ცოდნის დასტურად. ამ შემთხვევაში აპლიკანტი თავისუფლდება უცხოური ენის გამოცდიდან. მსგავსი სერტიფიკატის ან სხვა რელევანტური დოკუმენტის არარსებობის შემთხვევაში აპლიკანტი ვალდებულია, გაიაროს ტესტირება იმ ენის რეალური კომპეტენციის გამოვლენის მიზნით, რომელზეც ხორციელდება სწავლება.

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე საქართველოს არასახელმწიფო ენაზე პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტებისათვის, ასევე სხვა დაინტერესებულ პირთათვის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდის მეშვეობით.

სამაგისტრო პროგრამასა და თვითშეფასების ანგარიშში არის ასეთი ჩანაწერი: „მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე საქართველოს არასახელმწიფო ენაზე სწავლისას, აუცილებელია,

აპლიკანტი ფლობდეს სასწავლო ენას სულ მცირე B2 საფეხურის შესაბამის დონეზე.“ ე.ი. ამ პროგრამით სასწავლო პროცესი შეიძლება წარიმართოს სახელმწიფო ენაზეც. არადა მთელი პროგრამა და სასწავლო კურსები, ასევე, ინტერვიუები ადასტურებს, რომ წარმოდგენილი პროგრამა მორგებულია რუსულენოვან აპლიკანტებზე და თუ ქართველი ან სხვა მოსურვებს ჩაბარებას, მან უნდა დაადასტუროს რუსული ენის ცოდნა B2 დონეზე. შესაბამისად, ექსპერტთა აზრით, პროგრამიდან ნათლად უნდა იკითხებოდეს, რომელ ენაზე წარმოებს სასწავლო პროცესი და მეორე უცხო ენის დამადასტურებელი ცოდნის დადასტურება რომელ ენას გულისხმობს.

მნიშვნელოვანია, რომ სხვა სპეციალობის ბაკალავრიატის დასრულების შემდეგ ამ პროგრამაში ჩარიცხვის მსურველმა მოახერხოს შესაბამისი კურსების ათვისება და მისთვის უცხო გარემოში მოქმედება, რათა შედეგზე გავიდეს. საგულისხმოა, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მჭიდროდ უკავშირდება პროგრამის შინაარსს, სწავლის შედეგებსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. მთავარია პირებისთვის, რომლებსაც ნავთობისა და გაზის მოპოვების ტექნოლოგიების ბაკალავრიატი არ აქვს დასრულებული, დაშვების ისეთი წინაპირობა არსებობდეს, რომელიც განათლების სამაგისტრო დონის ზოგადად ნავთობისა და გაზის მოპოვების ტექნოლოგიების პროგრამის დასაძლევად სათანადო ცოდნისა და უნარების დადასტურებას უზრუნველყოფს. ასეთი აპლიკანტისთვის რელევანტური კომპეტენციების დადასტურება ვერ მიიღწევა მხოლოდ ტესტური გამოცდებით. უნივერსიტეტმა წარმოადგინა დახურული ტესტები და განისაზღვრა, რომ ტესტური გამოცდა განიხილება მიღების ერთ-ერთ წინაპირობად, თუმცა ის ვერ წარმოაჩენს ამ პროგრამისთვის სათანადო უნარებს. ამდენად, პირთათვის, რომლებსაც არ აქვთ დასრულებული ნავთობისა და გაზის მოპოვების ტექნოლოგიების ბაკალავრიატი, აღნიშნულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მოითხოვს დაზუსტებას ცოდნა/უნარების ნაწილში.

ამ კუთხით საყურადღებოა უცხოური ანალოგი პროგრამების მიღების წინაპირობები:

ა) აბერდენის უნივერსიტეტის გაზისა და ნავთობის ინჟინერიის სამაგისტრო პროგრამაში ჩარიცხვის სურვილით განაცხადის წარდგენა შეუძლია აპლიკანტს, რომელსაც ბექგრაუნდი ჰქონდა შემდეგ სფეროებში: ქიმიური ინჟინერია, სამოქალაქო ინჟინერია, ელექტროტექნიკა და ელექტრონიკა, ნავთობის ინჟინერია, ინჟინერიის ნებისმიერი სხვა დარგი, ფიზიკა და გამოყენებითი მათემატიკა (იხ. ბმული: <https://on.abdn.ac.uk/degrees/oil-and-gas-engineering/>).

ბ) ქოვენტრის უნივერსიტეტის ნავთობისა და გაზის ინჟინერიის სამაგისტრო პროგრამა დაშვების ზოგად მოთხოვნებად, გარდა ინგლისური ენის ცოდნისა, ადგენს მინიმუმ მეორე კლასის წარჩინების ხარისხს ნავთობის ინჟინერიაში, ქიმიურ ინჟინერიაში, გეოლოგიურ ინჟინერიაში, ნავთობქიმიურ ინჟინერიაში, მანქანათმშენებლობაში, სამოქალაქო ინჟინერიაში, ფიზიკურ მეცნიერებებში, გეომეცნიერებებში ან მათემატიკასთან დაკავშირებულ საგნებში (იხ. ბმული: https://www.mastersportal.com/studies/59767/oil-and-gas-engineering.html?ref=profile_recommendations&position=4&score=0.0049046#content:requirement).

გ) ალბორგის უნივერსიტეტის ქიმიური ინჟინერიის სამაგისტრო პროგრამის ნავთობისა და გაზის სპეციალიზაციისას პროგრამაზე დაშვების წინაპირობად, გარდა ინგლისური ენის ცოდნისა, აპლიკანტს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ხარისხი შესაბამის ინჟინერიაში ან საბუნებისმეტყველო დისციპლინებში (იხ. დეტალურად ბმული: <https://www.en.aau.dk/education/master/chemical-engineering/application-and-requirements/>).

ამასთან, ერთია, როცა ნავთობისა და გაზის მოპოვების ტექნოლოგიების მაგისტრს დასრულებული აქვს ამავე სფეროს ბაკალავრიატი და მეორეა, როდესაც ნავთობისა და გაზის

მოპოვების ტექნოლოგიების მაგისტრმა დაამთავრა აღნიშნულ სფეროსთან ახლოს მდგომი საბაკალავრო პროგრამები ნავთობქიმიურ ინჟინერიაში, გეოლოგიურ ინჟინერიაში, ფიზიკისა და მათემატიკასთან დაკავშირებულ სხვა მეცნიერებებში. მსგავს შემთხვევაში მონათესავეობის გამო შეიძლება ნაკლები პრობლემა წარმოიშვას პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ. თუმცა საკითხი უფრო პრობლემურია ასეთი კავშირის არარსებობის დროს, კერძოდ, როცა მაგისტრანტობის მსურველს, რომელსაც აქვს ბაკალავრიატი დასრულებული ნავთობისა და გაზის მოპოვების ტექნოლოგიებისგან განყენებულ სფეროებში (პოლიტიკური მეცნიერებები, ფსიქოლოგია, ფილოლოგია, სოციოლოგია და სხვა) და სურს, რომ გააგრძელოს სწავლა წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის მიმართულებით. ამ პირობათვის, ვფიქრობთ, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გარკვეულ სავალდებულო პრერეკვიზიტებს უნდა გულისხმობდეს სწავლის შედეგის მიღწევის მიზნით.

საყურადღებოა, რომ ნავთობისა და გაზის მოპოვების ტექნოლოგიები არის სპეციფიკური სფერო, რომელშიც მოქმედება ნებისმიერი პროფესიის წარმომადგენელს გაუჭირდება, მით უფრო, თუ მაგისტრანტობის მსურველს არ ჰქონია ბაკალავრიატის დონეზე შემხებლობა ნავთობისა და გაზის მოპოვების ტექნოლოგიებთან. ასეთ ადამიანს გაუჭირდება ამ სფეროში მარტივად ოპერირება. ეს უფრო მეტად ცხადია, თუ გავითვალისწინებთ, რომ მაგისტრატურის საფეხურისთვის აუცილებელია სწავლის შედეგების სულ სხვა დონის არსებობა. სახელდობრ, ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მე-7 დონე „პასუხისმგებლობა-ავტონომიურობაში“ ითვალისწინებს შემდეგ კომპონენტებს: „კომპლექსური, არაპროგნოზირებადი ან მულტიდისციპლინური სასწავლო ან/და სამუშაო გარემოს მართვა და ადაპტირება ახალი სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით. პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში წვლილის შეტანა. სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებლობის აღება; საკუთარი სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა.“ გარემოს მართვა, პასუხისმგებლობის აღება, სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა პრობლემურია იმ მაგისტრანტობის მსურველთათვის, რომლებსაც ნავთობისა და გაზის მოპოვების ტექნოლოგიების ან მასთან მჭიდროდ დაკავშირებული საბაკალავრო პროგრამა არ დაუსრულებიათ. ამდენად, ამ პირობებში ვთვლით, რომ აუცილებელია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები დაზუსტდეს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები“;
- სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები);
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/5 ბრძანება „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: <https://gtu.ge/>;
- ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩო;
- უცხოური ანალოგი პროგრამები;
- ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, დაზუსტდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები იმ აპლიკანტებისთვის, რომლებსაც არ დაუსრულებიათ ნავთობისა და გაზის მოპოვების ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამა ან მასთან მჭიდროდ დაკავშირებული სხვა პროგრამა ადეკვატური ცოდნისა და უნარების დადასტურების მიზნით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამაში ნათლად აისახოს სამაგისტრო პროგრამაზე არასახელმწიფო ენაზე სწავლისა და აპლიკანტის მიერ ამ ენის შესაბამის დონეზე ფლობის დადასტურების საკითხები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- V მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები“ შედგენილია სტუ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების მეშვიდე დონეს. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგის მიღწევას.

როგორც საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მასალებიდან ირკვევა მაგისტრატურის რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა "ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები" შედგენილია ნავთობისა და გაზის დარგში აღიარებული თეორიული და პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე დაყრდნობით, ასევე უცხოური საგანმანათლებლო პროგრამების ანალოგების შესწავლით, ანალიზითა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.

პროგრამა სტუდენტებს მისცემს პროფესიისთვის საჭირო ცოდნას და უნარებს, რაც მომავალში წარმატებული კარიერის შექმნაში დაეხმარება.

პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. კერძოდ,

კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემით (ECTS). საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 1 ECTS კრედიტი უტოლდება 25 საათს, რომელიც მოიცავს როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათებს. კრედიტების (ECTS) განაწილება საგნების მიხედვით წარმოდგენილია სასწავლო გეგმაში. პროგრამის ხანგრძლივობაა 2 წელი; პროგრამა მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტებს.

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში მოცემული სასწავლო კომპონენტი (სასწავლო კურსები) ასეა განაწილებული: სავალდებულო – 76ECTS. არჩევითი - 14 ECTS. კვლევითი კომპონენტი - 30 ECTS. ესე როგორც სამაგისტრო პროგრამაში მოცემულ სასწავლო

გეგმაში, ხოლო სამაგისტრო პროგრამის აღწერაში კი ასეა გაწერილი: სავალდებულო – 75ECTS. არჩევითი - 15 ECTS. კვლევითი კომპონენტი - 30 ECTS ანუ მცირე უზუსტობა შეინიშნება და მნიშვნელოვანია მისი გასწორება.

კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა) ფასდება ერთჯერადად. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კომპონენტები დაჯგუფებულია არჩევითი სასწავლო კურსების სხვადასხვა ბლოკის სახით, რამაც ექსპერტთა ჯგუფს გაუჩინა კითხვები, პროგრამაში სასწავლო კომპონენტების კატეგორიზაციასთან დაკავშირებით. პროგრამა შინაარსით მოიცავს სავალდებულო სასწავლო და არჩევით სასწავლო კომპონენტებს. ამგვარი დაჯგუფების მიზანად ისახავს, რომ სტუდენტებმა თავად გადაწყვიტონ თითოეულ ბლოკში შემავალი რომელ კომპონენტის შესწავლას გადაწყვიტენ. მიზანშეწონილია, რომ პროგრამაში შემავალი სასწავლო კომპონენტების კატეგორიზაცია ან უფრო მკაფიოდ განხორციელდეს, რომლის მიხედვითაც ცხადი იქნება სტუდენტთათვის სავალდებულო და არჩევითი საგნების თაობაზე ინფორმაცია.

მაგისტრატურის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია სტუ-ს ვებგვერდზე განთავსებულ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულებაში: https://gtu.ge/Learning/debuleba_magistraturis_sesaxeb.php

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები“
- პროგრამის სასწავლო გეგმა;
- სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები);
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამების დებულება;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: <https://gtu.ge/>;
- ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩო;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია.
- უცხოური ანალოგი პროგრამები;
- ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

1. მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა „აკადემიური წერისა და კვლევის მეთოდების“ და/ან „პროექტის შემუშავების“ შესახებ სასწავლო კურსები გაითვალისწინოს სავალდებულო კომპონენტთა შორის, რათა სტუდენტებს მისცეს სამაგისტრო ნაშრომის კვალიფიციურ დონეზე შესრულების ცოდნა და უნარები.
2. მიზანშეწონილია, საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და სამაგისტრო პროგრამაში მოცემულ სასწავლო გეგმაში მოცემული სასწავლო კომპონენტთან დაკავშირებით მცირე უზუსტობა აღმოიფხვრას (სასწავლო კურსები): სავალდებულო – 76ECTS, არჩევითი - 14 ECTS. კვლევითი კომპონენტი - 30 ECTS, ხოლო სამაგისტრო პროგრამის აღწერაში კი ასეა გაწერილი: სავალდებულო – 75ECTS. არჩევითი - 15 ECTS, კვლევითი კომპონენტი - 30 ECTS.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. სასურველია, რომ პროგრამაში შემავალი სასწავლო კომპონენტების კატეგორიზაცია ან უფრო მკაფიოდ განხორციელდეს, რომლის მიხედვითაც ცხადი იქნება სტუდენტთათვის სავალდებულო და არჩევითი საგნების თაობაზე ინფორმაცია.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

V მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამაში არსებულ სწავლის შედეგებთან. ხოლო სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება ამავე სასწავლო კურსის სწავლის შედეგს. თითოეული სასწავლო კურსებისათვის გამოყოფილი კრედიტისათვის რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდების საჭიროებისა და ასათვისებელი მასალის სირთულისა და მოცულობის მიხედვით. ასევე საკონტაქტო საათების რაოდენობა სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგს. სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება. თითოეულ სასწავლო კურსში გაწერილია სწავლის შედეგების შეფასების ფორმები, კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიერ რანჟირებულ კვალიფიკაციათა მეშვიდე დონეს.

სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) არსებული ლიტერატურა დაფუძნებულია შესაბამისი დარგის აქტუალურ საკითხებზე, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სილაბუსებში მითითებულ ძირითად ლიტერატურაზე ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია სტუ-ის ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის, სამეცნიერო ბაზების და ელექტრონული კატალოგების საშუალები.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ სილაბუსში წარმოდგენილი სასწავლო მასალების უმეტესი ნაწილი წარმოადგენს 2005-2020 წლებში გამოცემულ სახელმძღვანელოებს, დამხმარე სახელმძღვანელოებს და სალექციო კურსებს. საკმაოდაა მითითებული ინგლისურენოვანი ლიტერატურა. თუმცა რადგან პროგრამაზე ხორციელდება კიდევ ორი უცხო (გერმანულ და ფრანგულ ენებზე) ენის შესწავლა, სასურველი იქნებოდა სასწავლო კურსების სილაბუსებში დამხმარე სახელმძღვანელოდ მითითებული იყოს შესაბამისი კურსის შესაბამისი ლიტერატურა (ფრანგულ და გერმანულ ენაზე).

ექსპერტთა ჯგუფის აზრით, **წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს ისეთ სასწავლო კურსებს, როგორცაა შრომის უსაფრთხოება, თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიები.** უშუალოდ დამსაქმებლების მხრიდანად გამოითქვა სურვილი, რომ

ციფრული ტექნოლოგიების პირობებში მაგისტრანტებს ჰქონდეთ თანამედროვე მოთხოვნებისა და პროგრამული უზრუნველყოფის შესაბამისი უნარ-ჩვევები, რათა პრაქტიკაში ადვილად მოახერხონ საქმიანობა.

ამასთან, იკვეთება **სავალდებულო კომპონენტებს შორის კვლევითი უნარებისა და მეთოდოლოგიის სტანდარტებთან დაკავშირებით სასწავლო კომპონენტის გათვალისწინების საჭიროება**. ეს მაგისტრანტებს დაეხმარება შესაბამისი ცოდნის მიღებაში და მათ გამოუმუშავებთ კვლევით უნარებს, რათა სამაგისტრო ნაშრომში კვალიფიციურად შესრულდეს. გარდა ამისა, სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით უმთავრესის პრაქტიკული კომპონენტების გაძლიერება. ამდენად, **სამაგისტრო საფეხურზე მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს საგანი „კვლევის მეთოდები“ და/ან „პროექტის შემუშავება“**, რათა სწავლის შედეგების სრულად უზრუნველყოფა იყოს შესაძლებელი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები“;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სწავლის შედეგები;
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა: <https://gtu.ge/Library/> ;
- ხელშეკრულება პარტნიორ უნივერსიტეტთან;
- აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებდეს „შრომის უსაფრთხოების“ სასწავლო კურსს სწავლის შედეგების სრულად უზრუნველყოფისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების გათვალისწინების მიზნით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. სასურველია, უზრუნველყოფილ იქნეს ციფრული ტექნოლოგიის პირობებში კომპიუტერული პროგრამების ფლობა;
2. სასურველია, სასწავლო კურსების სილაბუსებში დამხმარე ლიტერატურად დამატებით აისახოს ფრანგულ და გერმანულ ენებზე არსებული შესაბამისი ნაშრომები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- V მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვისა და ინტერვიუების შედეგად ჩანს, რომ პროგრამით გათვალისწინებულია პრაქტიკული და სამეცნიერო - კვლევითი, ასევე ტრანსფერული უნარების განვითარება. რაც გამოიხატება პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შინაარსითა და შემადგენლობით. ასევე გამოიკვეთა, რომ დეკანატი, დეპარტამენტი, კურატორები, სამეცნიერო - კვლევითი თემების ხელმძღვანელები ხელს

უწყობენ სტუდენტის ჩართულობას სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში. საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა სრულდება სამაგისტრო ნაშრომის მომზადებითა და დაცვით, სამაგისტრო ნაშრომის შესრულებით სტუდენტი სისტემატიზაციას უკეთებს და აღრმავებს პრაქტიკულ, სამეცნიერო-კვლევით და ტრანსფერულ უნარ-ჩვევებს.

პროგრამაში შემავალი საგნების უმეტესი ნაწილი თეორიასთან ერთად მოიცავს პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას სასწავლო კურსებში ჩაშენებული პრაქტიკული კომპონენტებით.

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი გულისხმობს საწარმოო პრაქტიკის გავლას. პრაქტიკის გავლის პერიოდში სტუდენტს ხელმძღვანელობს პრაქტიკის ობიექტის მიერ გამოყოფილი პერსონალი, რომელიც აფასებს სტუდენტის საქმიანობას პრაქტიკის მიზნისა და მიღებული შედეგების გათვალისწინებით. პრაქტიკას ხელმძღვანელობს პრაქტიკის ხელმძღვანელი, რომელიც პასუხისმგებელია პრაქტიკის განხორციელებაზე. პრაქტიკის ხელმძღვანელი აკონტროლებს პრაქტიკის სრულყოფილ ჩატარებას, რაც ითვალისწინებს პრაქტიკის ჩატარების ადგილზე ვიზიტებს. პრაქტიკის სრულყოფილად განხორციელების მიზნით, პრაქტიკის დროს მაგისტრანტი იცავს მიმდებარე დაწესებულების შინაგანაწესს, უსაფრთხოებისა და ეთიკის ნორმებს, ასრულებს კონკრეტულ სამუშაოს და აწარმოებს პრაქტიკის დღიურს პრაქტიკის კალენდარული გეგმისა და პრაქტიკის ობიექტის მხრიდან გამოყოფილი პირის მითითების შესაბამისად. პრაქტიკული უნარების განმტკიცებისთვის პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკის კომპონენტს.

პრაქტიკა განხორციელება რეგულირდება შესაბამისი ხელშეკრულებების საფუძველზე.

პროგრამა მოიცავს ისეთ სასწავლო კურსებსაც, რომლებიც მიმართულია სტუდენტის მიერ მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის განვითარება-განმტკიცებაზე, რაც ემსახურება ათვისებული დისციპლინების შესაბამისად, სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნის, პრაქტიკული უნარებისა და, ზოგადად სწავლის შედეგების განმტკიცებას. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, გაიარონ პრაქტიკა საჯარო ან კერძო ორგანიზაციებში, უნივერსიტეტსა და შესაბამის ორგანიზაციას შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში. აღნიშნული აქტივობა სტუდენტებს საშუალებას აძლევს, გააკეთონ არჩევანი საკუთარი ინტერესის შესაბამისად. ინტერვიუს შედეგებით დადასტურდა, რომ სტუდენტებს, რომელიც დასაქმებული არიან კონკრეტულ ორგანიზაციაში, შესაძლებლობა მიეცათ, დასაქმებამდე გაეცლოთ პრაქტიკა. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, რომ სტუდენტები, უნივერსიტეტის ხელშეწყობით, მონაწილეობენ კურიკულუმს მიღმა დაგეგმილ სხვადასხვა აქტივობებში, რომლებიც პრაქტიკული უნარების გაღრმავებას/განვითარებას უწყობს ხელს. პრაქტიკის გავლის პერიოდში ისევე, როგორც სამეცნიერო-კვლევით პროექტში მონაწილეობისას, სტუდენტებს ხელმძღვანელობას უწევენ დარგის კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც ახორციელებენ სტუდენტების აქტიურობის მონიტორინგს - სტუდენტების შეფასების მიზნით.

უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების სახით, პროგრამის სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილია თანამედროვე, კომპიუტერული სისტემით აღჭურვილი სამუშაო ოთახები, საბიბლიოთეკო სივრცეები, სპეციალური ლაბორატორიები. უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს თეორიულ ცოდნასთან ერთად მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება, რაც მათ ხელს უწყობს პროფესიისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში. სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია თანამედროვე აღჭურვილობის საბიბლიოთეკო სივრცეები, დაწესებულებას

აქვს წვდომა საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზებზე, სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ როგორც საუნივერსიტეტო, ასევე საქართველოს მასშტაბით გამართულ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში და გამოაქვეყნონ წარმატებული სტუდენტების ნაშრომები პროფესორ-მასწავლებლების ხელმძღვანელობით დამუშავებული საკონფერენციო თეზისები, სტატიები და სხვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები“
- თვითშეფასების ანგარიში;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები დარგის ორგანიზაციებთან;
- სტუდენტების სამეცნიერო და სოციალური აქტივობები;
- გამოკითხვის შედეგები;
- დაწესებულების წარმომადგენლებსა და სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგები;
- კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციის მიხედვით, გამოიკვეთა, რომ სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები, ძირითადად, შეესაბამება პროგრამის საფეხურს, სასწავლო კურსის შინაარსს და მთლიანობაში უზრუნველყოფს შესაბამისი სასწავლო კურსითა და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას - სასწავლო კურსების სილაბუსებში განსაზღვრული კურსის მიზანი, მისაღწევი შედეგები, მიზნების მიღწევის მეთოდები და გამოყენებული აქტივობები შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს. სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრული სწავლის მეთოდები და აქტივობები, ძირითადად, პასუხობს სასწავლო კურსის შინაარსს. სასწავლო კურსით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევისათვის გამოიყენება მეთოდები: ლექცია, სემინარი, ლაბორატორიული და პრაქტიკული მუშაობა; საკურსო პროექტი; კონსულტაცია; პრაქტიკა. სწავლება-სწავლის მეთოდები, ძირითადად, ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებები.

დადგინდა რამდენიმე საგნის სილაბუსში სწავლება-სწავლის მეთოდებთან დაკავშირებით პრობლემური საკითხები:

ა. სასწავლო კურსის „ნახშირწყალბადის ტრადიციული და არატრადიციული რესურსები“ სწავლების მეთოდებად მონიშნულია ლექცია, სემინარი, კონსულტაცია და დამოუკიდებელი მუშაობა, ხოლო ამ მეთოდების შესაბამის აქტივობებად ჩამოთვლილია დემონსტრირება, ვერბალური, დისკუსია-დებატები, ანალიზი, სინთეზი, ინდუქცია, წერიითი მუშაობა. არადა ანალიზი, სინთეზი, ინდუქცია უნდა განიხილებოდეს არა აქტივობად, არამედ სწავლების მეთოდებად. იგივე შეიძლება ითქვას საგანზე „ნავთობისა და გაზის ჭაბურღილების ბურღვის თანამედროვე ტექნოლოგიები,“ კერძოდ, სილაბუსში აქტივობად დასახელებულია ანალიზის, სინთეზის, დისკუსია-დებატებისა და ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, თუმცა ისინი სწავლება-სწავლის მეთოდებია. ანალოგიური პრობლემაა რამდენიმე სასწავლო კურსის („საბადოების დამუშავების მართვა“, „ჭაბურღილების გეოფიზიკური კვლევები“, „ნავთობგაზის ჰიდროგეოლოგია“, „თანამედროვე საბურღი ტექნოლოგიური სითხეები“, „ნავთობგაზის წარმოების ეკონომიკა და მართვა“, „დაპროექტების მეთოდოლოგია ნავთობგაზის დარგში და პროექტების მართვა“, „ნაპრალალოვანი კოლექტორების დამუშავება“ და სხვა) სილაბუსში. ამდენად, სილაბუსებიდან ნათლად უნდა ირკვეოდეს სწავლების მეთოდები და ცალკე უნდა ჩანდეს, რომელია აქტივობა.

ბ. სამაგისტრო საფეხურზე უმნიშვნელოვანესია, ერთი მხრივ, სწავლების მეთოდთა გამრავალფეროვნება, მეორე მხრივ, სწავლების ისეთ მეთოდებზე აქცენტირება, რომლებიც ანალიტიკური უნარების გამომუშავებაზეა ორიენტირებულია. ასეთი სასწავლო კურსებია „საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (ინგლისური)“, „თანამედროვე საბურღი ტექნოლოგიური სითხეები“, „გართულებებისა და ავარიების გაფრთხილება და ლიკვიდაცია“, „ნახშირწყალბადის ტრადიციული და არატრადიციული რესურსები“, „საბადოების დამუშავების მართვა“ და სხვა. ამასთან, საგნებში სამაგისტრო საფეხურისთვის უფრო მეტად აქტუალურია ისეთ მეთოდებზე გამახვილდეს ყურადღება, რომლებიც მაგისტრანტებს ანალიტიკურ უნარებს გამოუმუშავებს (გონებრივი იერიში, სოკრატესეული, შემთხვევის ანალიზი, კვლევაზე დაფუძნებული სწავლება, პრაქტიკული სავარჯიშო და სხვა).

გ. აქვე ჩანს, რომ ზოგიერთ საგანში შეფასების მეთოდები მოითხოვს გამრავალფეროვნებას და ანალიტიკური დავალებების შეთავაზებას. მაგალითად, სასწავლო კურსი „ნავთობგაზის ჰიდროგეოლოგია“ სილაბუსში შეფასების მეთოდებად გამოყოფილია დახურული ტესტი და ლაბორატორიული სამუშაო. ანალოგიურ პრობლემას ვაწყდებით საგნის „თანამედროვე საბურღი ტექნოლოგიური სითხეები“ სილაბუსში. იკვეთება სასწავლო კურსებში შუალედურ გამოცდამდე არსებული შეფასების ფორმების გამრავალფეროვნების საჭიროება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები“
- თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმე.
- აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ პროფესორ-მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან;
- სწავლების მეთოდები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, რამდენიმე საგნის სილაბუსში სწავლება-სწავლის მეთოდების გამრავალფეროვნდეს ანალიტიკური უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული მეთოდების გამოყენებით; ასევე, ნათლად და ცალ-ცალკე ჩანდეს სწავლების მეთოდები და აქტივობები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან V მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
<p>სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დადგინდა რომ სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალე და კანონმდებლობასთან შესაბამისია.</p> <p>საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტისა და სასწავლო კურსების სილაბუსების მიხედვით, სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად სემესტრის განმავლობაში გამოიყენება ცოდნის შეფასების მრავალკომპონენტური სისტემა, კერძოდ კი შუალედური შეფასებები და დასკვნითი გამოცდა, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას - 100 ქულას. საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით, სტუდენტების ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე წერიითი (ტესტი, ღია კითხვები, საკურსო ნაშრომი, პრეზენტაცია და ა.შ) გამოკითხვა. დასკვნითი გამოცდის ფორმაში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რაც არ აღემატება 60%-ს და შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან. აღსანიშნავია, რომ ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში გვხვდება უნიფიცირებული ქულების გადანაწილება - 30 ქულა ეთმობა შუალედურ გამოცდას, 40 ქულა დასკვნით შეფასებას და მხოლოდ დარჩენილი 30 ქულის გადანაწილება ხდება პროფესორ-მასწავლებლის სურვილისამებრ შუასემესტრული აქტივობების შესაფასებლად, ამ მხრივ მიზანშეწონილია, რომ სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე პროფესორ-მასწავლებელს შესაძლებლობა ჰქონდეს შეცვალოს ფინალური და შუალედური გამოცდის ქულების რაოდენობა, რათა მაქსიმალურად იქნას უზრუნველყოფილი პროგრამის პერსონალის აკადემიური თავისუფლება.</p> <p>აკრედიტაციის ვიზიტის დროს დადგინდა, რომ შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, გამოქვეყნებულია ელექტრონულ სასწავლო პორტალზე და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის.</p> <p>სტუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია, ასევე, მოიცავს მუხლს სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრებისა და საპატიო მიზეზით გაცდენილი შეფასების/გამოცდის აღდგენის შესახებ. აღნიშნული შესაძლებლობების სრულადაა ხელმისაწვდომი სამაგისტრო პროგრამის</p>

სტუდენტებისათვის და მდგრადადაა დანერგილი პრაქტიკაში ქართულ და ინგლისურ ენაზე. მაგრამ, რადგან პროგრამა რუსულენოვანია და იგი იღებს საერთაშორისო სტუდენტებს რომლებმაც შესაძლოა იცოდნენ მხოლოდ რუსული ენა, რეკომენდებულია აპელაციის ფორმები და სერვისები გათვლილი იყოს რუსულენოვანი სტუდენტებისათვის. **სასწავლო პროცესითა და მისი მართვის სისტემით უზრუნველყოფილია სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრება.**

სასწავლო პროგრამაში გასაუმჯობესებელია, სასწავლო კურსების შეფასების კომპონენტები და მეთოდები, რომლებიც უფრო მეტად უნდა ითვალისწინებდეს კურსის სპეციფიკას და უფრო მეტად შეესაბამებოდეს კურსის სწავლის შედეგებს. მაგალითად: სასწავლო კურსში „ნახშირწყალბადების ტრადიციული და არატრადიციული რესურსები“, სწავლის შედეგებია:

- კონსტანტირებს ნავთობისა და გაზის ბუდობების, საბადოების გეოლოგიური აგებულების შესწავლის მეთოდოლოგიურ საფუძვლებს, ასევე მათი ძებნისა და ძიების მეთოდებს;
- ილუსტრირებს ნახშირწყალბადების საბადოების ძებნის, ძიებისა და დამუშავების სფეროში გეოლოგიური, გეოფიზიკური, გეოქიმიური, ნავთობგაზის საფონდო, საველე და ლაბორატორიული ინფორმაციის თავმოყრის, დამუშავების, ანალიზისა და განზოგადების მეთოდებს;

ეს სწავლის შედეგები კარგი იქნება, მოდიფიცირდეს ან მეტი ანალიტიკური დავალებით შეივსოს, შეფასების კომპონენტებისა და მეთოდების სპეციფიკის გათვალისწინებით (შუალედური და დასკვნითი გამოცდა ტარდება ღია და დახურულ კითხვებიანი ტესტით, ხოლო მიმდინარე აქტივობა ფასდება დახურულ კითხვებიანი ტესტით და სემინარზე აქტივობით).

ანალოგიური შემთხვევაა სასწავლო კურსში „ნავთობის, ნავთობპროდუქტებისა და გაზის ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნოლოგია“. ამ საგნის სწავლის შედეგებიდან მსგავს საკითხს ეხება შემდეგი სწავლის შედეგები:

- ადგენს კვლევასთან, დამუშავებასთან, დაპროექტებასთან, მშენებლობასთან, რეალიზაციასთან, ტექნოლოგიური პროცესების მართვასთან და წარმოებასთან დაკავშირებული ყველა სახის სამუშაოების განხორციელების ოპერატიულ გეგმებს ნავთობის, ნავთობპროდუქტებისა და გაზების ტრანსპორტირებისა და შენახვის სფეროში;
- განსაზღვრავს გარემოს დაცვის ძირითად ღონისძიებებს ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირებისა და შენახვისას.

უნივერსიტეტში მოქმედი მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების წესის მიხედვით, სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვას აფასებს 5-7 წევრისაგან შემდგარი საგამოცდო კომისია 100-ქულიანი შეფასების სისტემით. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებია: 1. საკვლევი პრობლემის აღწერა, აქტუალურობა – შეფასება 5 ქულამდე; 2. საკვლევი თემის ირგვლივ არსებული ლიტერატურის ანალიზი – შეფასება 4 ქულამდე; 3. კვლევის მეთოდების გამოყენება – შეფასება 5 ქულამდე; 4. ჩატარებული კვლევის შედეგების განსჯა – შეფასება 4 ქულამდე; 5. ჩატარებული კვლევის საფუძველზე დასკვნის გაკეთება – შეფასება 4 ქულამდე; 6. ნაშრომის გაფორმების ხარისხი და მისი წარდგენის უნარი – შეფასება 3 ქულამდე.

ამასთან, ამავე წესით განსაზღვრულია შეფასების სკალირებული ქულა (S), რომელიც მიიღება შემდეგი ფორმულით $S = 4 \times M$, სადაც M არის ექვსივე კომპონენტის შეფასების ჯამური ქულა. მიგვაჩნია, რომ უფრო გამართლებულია სამაგისტრო ნაშრომის შეფასების არსებულ

კრიტერიუმებზე 100 ქულის გადანაწილება.

რამდენიმე სასწავლო კურსის სილაბუსში პრობლემურია შეფასების ნაწილი:

საგანში შეფასების მეთოდები მოითხოვს გამრავალფეროვნებას და ანალიტიკური დავალებების შეთავაზებას. მაგალითად, სასწავლო კურსი „ნავთობგაზის ჰიდროგეოლოგია“ სილაბუსში შეფასების მეთოდებად გამოყოფილია დახურული ტესტი და ლაბორატორიული სამუშაო. ანალოგიურ პრობლემას ვაწყდებით საგნის „თანამედროვე საბურღი ტექნოლოგიური სითხეები“ სილაბუსში. იკვეთება **სასწავლო კურსებში შუალედურ გამოცდამდე არსებული შეფასების ფორმების გამრავალფეროვნების საჭიროება.**

ასევე, მნიშვნელოვანია რამდენიმე დისციპლინაში აქტივობების რეალისტურ და სემესტრის განმავლობაში მიღწევად რაოდენობამდე დაყვანა:

ა. სასწავლო კურსის „თანამედროვე საბურღი ტექნოლოგიური სითხეები“ სილაბუსში შეფასების ფორმებისა და მეთოდების განყოფილებაში ასახულია: **დახურული ტესტები ფასდება მაქსიმუმ 15 ქულით. ტესტში 5 კითხვაა და თითო კითხვა ფასდება 1 ქულით.** ტესტირება ტარდება 3-ჯერ ($15:5=3$). ცალკეა აქტივობად გამოყოფილი ლაბორატორიული სამუშაო, რომელიც ფასდება მაქსიმუმ 1 ქულით (სულ მთლიანობაში 15 ქულით). სილაბუსიდან გამომდინარე, 15 კვირის განმავლობაში უნდა ჩატარდეს 15 ლაბორატორიული სამუშაო და 3 ტესტირება, ანუ 18 აქტივობა. არადა პირველი სასემინარო კვირა გაცნობითი ხასიათისაა და გამოკითხვა არ ტარდება, შუალედური გამოცდის კვირა გამოკითხვას ვერ დაეთმობა, ე.ი. 15 კვირიდან დარჩა 13 აქტიური კვირა შესაბამისი აქტივობებისთვის. ფიზიკურად დარჩენილ კვირაში ვერ ხერხდება 18 აქტივობის ჩატარება. ანალოგიურ პრობლემას ვაწყდებით ისეთი საგნების სილაბუსებში, როგორცაა: „ნავთობგაზის ჰიდროგეოლოგია“, „ნახშირწყალბადების ტრადიციული და არატრადიციული რესურსები“, „საბადოების დამუშავების მართვა.“

ბ. კიდევ უფრო არარეალისტურად გამოიყურება სასწავლო კურსის „გართულებებისა და ავარიების გაფრთხილება და ლიკვიდაცია“ სილაბუსით გათვალისწინებული აქტივობები: 5-ჯერ ტარდება 3-ქულიანი ტესტირება დახურული კითხვებით ($3 \times 5 = 15$ ქულა), ხოლო 1-ქულიანი სემინარზე მუშაობა 15-ჯერ ($15 \times 1 = 15$). გამოკითხვებისთვის არსებულ 13-14 კვირაში არარეალისტურად გამოიყურება, რომ ჩატარდეს 20 აქტივობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტუდენტთა შეფასების სისტემა;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესი“;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- პროგრამების დებულება;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: <https://gtu.ge/> ;
- უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის ვებგვერდი: <https://testing.gtu.ge/>
- „მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 აგვისტოს N01-05-04/133.
- აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, დაიგეგმოს სასწავლო კურსების („ნავთობგაზის ჰიდროგეოლოგია“, „ნახშირწყალბადების ტრადიციული და არატრადიციული რესურსები“, „საბადოების დამუშავების მართვა,“ „თანამედროვე საბურღი ტექნოლოგიური სითხეები,“

„გართულებებისა და ავარიების გაფრთხილება და ლიკვიდაცია“ და სხვა) სილაბუსით განსაზღვრული აქტივობები მათი შეცვლა-შემცირების გზით ისე, რომ შეფასება სემესტრის განმავლობაში რეალიზებადი იყოს.

- რეკომენდებულია, სასწავლო კურსების - „ნახშირწყალბადების ტრადიციული და არატრადიციული რესურსები“ და „ნავთობის ნავთობპროდუქტებისა და გაზის ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნოლოგია“ შეფასების კომპონენტები, სისტემა და რუბრიკები არ იყოს უნიფიცირებული, ხოლო ზოგიერთი საგნის („ნავთობგაზის ჰიდროგეოლოგია,“ „თანამედროვე საბურღი ტექნოლოგიური სითხეები“ და სხვა) სილაბუსში შეფასების მეთოდები გამრავალფეროვნდეს ანალიტიკური დავალებებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, სამაგისტრო ნაშრომის შეფასების არსებულ კრიტერიუმების ქულები გადანაწილდეს 100-ქულიან სისტემაზე.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შესაბამისი დოკუმენტების გაცნობის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, სასწავლო პერსონალთან, ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების ქართულენოვანი საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევებზე, სწავლების გაუმჯობესებაზე და დასაქმებაზე კონსულტაციას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებამ ექსპერტთა ჯგუფი დაარწმუნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ სტუდენტებისათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდებას. მიუხედავად ამისა, უნივერსიტეტის ვებ-გვერდის ინფორმაციები, სტუდენტებისათვის განკუთვნილი სერვისები და ელექტრონული პორტალები არ არის ადაპტირებული რუსულენოვანი სტუდენტებისათვის, რაც მოცემული რუსულენოვანი პროგრამის გამოწვევაა. რადგან უნივერსიტეტი ისწრაფვის განახორციელოს და გააძლიეროს რუსულ ენოვანი პროგრამები, მან ასევე უნდა უზრუნველყოს ამ სეგმენტის სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება შესაბამის ენაზე.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ადმინისტრაცია სტუდენტებისთვის უზრუნველყოფს კარიერული ზრდისა და დასაქმების ხელშეწყობის სერვისის გაწევას, რაც გულისხმობს დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას, რომლის ფარგლებშიც ეწყობა კარიერული განვითარებისთვის საჭირო ტრენინგ-კურსები და შეხვედრები პოტენციურ დამსაქმებლებთან. ასევე, უნივერსიტეტი აწვდის სტუდენტებს ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ და ეხმარება პარტნიორ დამსაქმებლებთან სტაჟირების გავლის პროცესში. ამასთან, აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ პერსონალის ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია სტუდენტთა კონსულტაციებისათვის გამოყოფილი საათები, რის შესახებ ინფორმაციაც დამატებით მითითებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში. ამასთან, გასაუბრების პროცესში პროგრამის სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ლექტორებთან კომუნიკაციის პრობლემა არ შექმნიათ, მეტიც როგორც უნივერსიტეტში, ისე ელექტრონულ რეჟიმშიც აკადემიური პერსონალი სტუდენტებს უწევს სათანადო კონსულტაციასა და დახმარებას იქნება ეს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხები, თუ კურიკულუმს მიღმა პროექტებში მხარდაჭერა.

აღსანიშნავია, რომ ტექნიკური უნივერსიტეტი ჩართულია Erasmus+ის გაცვლით პროექტებში და ასევე გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა უცხოურ უნივერსიტეტებთან. უნივერსიტეტს აქვს მემორანდუმები, რაც გამოხატავს მზაობას სტუდენტების გაცვლითი პროგრამებში მონაწილეობის თაობაზე.

მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტმა სტუდენტებისათვის დაადგინოს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების გაცილებით დეტალური ინსტრუქცია, ვიდრე ეს დღევანდელი წესითაა მოცემული (სასურველია სამაგისტრო ნაშრომები მოიცავდეს ინფორმაციას თემის აქტუალობის, კვლევის მიზნების, ამოცანების, საკვლევი კითხვისა და ჰიპოთეზის (დაშვების/ვარაუდის) შესახებ და ა.შ). რადგან პროგრამა რუსულენოვანია სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი და სხვა დოკუმენტები რუსულ ენაზე. ინტერვიუების დროს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ არსებული დოკუმენტაცია ითარგმნა, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაციით ეს არ დასტურდება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

<ul style="list-style-type: none"> • უნივერსიტეტის სტუდენტურ სერვისებთან დაკავშირებული პროცედურები; • თვითშეფასების დოკუმენტი; • საგანმანათლებლო პროგრამა; • სასწავლო კურსების სილაბუსები. • აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს რუსულ ენაზე საუნივერსიტეტო სერვისებისა და ინფორმაციის (მათ შორის სამაგისტრო ნაშრომის მომზადების ინსტრუქცია კვლევის მიზნების, ამოცანების, საკვლევი კითხვის, ჰიპოთეზისა (დაშვების/ვარაუდის) და კვლევის მეთოდოლოგიის შესახებ) მიწოდება რუსულენოვანი სტუდენტებისათვის.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> • სასურველია, უნივერსიტეტმა საერთაშორისო კონფერენციებსა და გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად შესაბამისი ღონისძიებების გაატაროს.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა</p>
<p>მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სამაგისტრო ნაშრომი სავალდებულო კომპონენტს წარმოადგენს. სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებთან და სტუდენტებთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ სამაგისტრო ნაშრომის წერის პროცესში მაგისტრანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი და საჭიროების შემთხვევაში ერთი ან მეტი თანახელმძღვანელი, რომელთაც აქვთ საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება, რაც დასტურდება აკადემიური პერსონალის პირადი საქმეებით და მათი კვლევითი ან/და პრაქტიკული საქმიანობით, ამასთან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულების მიხედვით, მაგისტრანტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს სტუ-ის შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, მოწვეული პროფესორი, მოწვეული ასოცირებული პროფესორი, მოწვეული ასისტენტ-პროფესორი, აგრეთვე სტუ-თან ინტეგრირებული სამეცნიერო ინსტიტუტების მთავარი ან უფროსი მეცნიერი თანამშრომელი. მაგისტრანტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს სხვა (პარტნიორი) დაწესებულების დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე თანამშრომელი, თუ სტუ-სა და ამ დაწესებულებას შორის არსებობს გაფორმებული ხელშეკრულება (მემორანდუმი) ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.</p> <p>საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულების მიხედვით, მაგისტრანტის ხელმძღვანელი მაგისტრანტთან შეთანხმებით ადგენს პერსონალურ სამუშაო გეგმას, სადაც უნდა იყოს მითითებული სამაგისტრო ნაშრომის დასახელება, სავალდებულო და არჩევითი საგნების/მოდულების ჩამონათვალი, კვლევითი კომპონენტით</p>

გათვალისწინებული ჩასატარებელი ღონისძიებები. იგი ხელმძღვანელობს კვლევითი კომპონენტების შესრულებას, სამაგისტრო ნაშრომის გაფორმებას და დაცვისათვის მომზადებას.

ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის პროცესი მიმდინარეობს რამდენიმე ეტაპად: პირველ ეტაპზე ხდება საკვალიფიკაციო თემისა და ხელმძღვანელის შერჩევა, შემდეგ ეტაპზე სტუდენტი კონსულტაციებს იღებს ხელმძღვანელისგან, მესამე ეტაპზე ხდება ნაშრომის რეცენზირება, ხოლო მეოთხე ეტაპზე ხდება სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა და საჯაროდ დაცვა, რაც კომისიის მხრიდან ერთჯერადად ფასდება. თითოეული ეტაპისა და სამაგისტრო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების წესი, კომპონენტები და შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულება მაგისტრატურის შესახებ (აკადემიური საბჭოს 2019 წლის 23 სექტემბრის დადგენილება №01-05-04/268);
- მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომის გაფორმების ინსტრუქცია;
- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი (აკადემიური საბჭოს 2019 წლის 23 სექტემბრის №01-05-04/268 დადგენილება);
- საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები და პირადი საქმეები;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მაგისტრატურის რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამას „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები“ ახორციელებს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი. სტუ-ში აკადემიური თანამდებობის დაკავება ხდება ღია კონკურსის წესით, მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად. კონკურსს ნიშნავს და აცხადებს სტუ-ს აკადემიური საბჭო. უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს ირჩევს საკონკურსო კომისია. პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება. ასოცირებულ პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო - პედაგოგიური მუშაობის არა ნაკლებ 3 წლის გამოცდილება. ასისტენტ-პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი.

ინტერვიუს შედეგების თანახმად, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, სადაც განსაზღვრულია დასაქმებულის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ასევე მისი უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება აღნიშნული ხელშეკრულებით, დამსაქმებლის წესდებით, ეთიკის კოდექსითა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის ნორმებით, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ინსტრუქციებითა და დამსაქმებლის სხვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით.

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორებისაგან. თვითშეფასების თანახმად, აკადემიურ პერსონალს აქვს შესაბამისი კომპეტენცია, რაც დასტურდება მათ მიერ ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით: სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, რეფერირებად და რეცენზირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები, ასევე საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში, სემინარებსა და ფორუმებში მონაწილეობით. როგორც თვითშეფასების ანგარიშზე თანდართული დოკუმენტების საფუძველზე იკვეთება, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს მეტწილად მიღებული აქვს მონაწილეობა სტუ-ს ორგანიზებით ჩატარებულ კონფერენციებში, ხოლო ნაშრომები გამოქვეყნებულია ასევე უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ სამეცნიერო ჟურნალში, ან უნივერსიტეტის ხელშეწყობით, სახელმძღვანელოებისა და სალექციო კურსების კრებულების სახით.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა

უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან შესაბამისი ხელშეკრულებით აფილირებული, პროგრამის განმახორციელებელი 4 პროფესორის და 8 ასოცირებული პროფესორის დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი პროცესის სრულყოფილად წარმართვას. როგორც თვითშეფასებაშია აღნიშნული და ინტერვიუს დროს აკადემიურმა პერსონალმაც დაადასტურა, პროგრამას აქვს განმახორციელებელი პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს შესაბამის დატვირთვის მათზე დაკისრებული მოვალეობიდან გამომდინარე. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ჩართულია ასევე საკონსულტაციო და პროგრამის განვითარების პროცესში. თუმცა პერსონალის დატვირთვის სქემის დამადასტურებელი დოკუმენტაცია წარმოდგენილი არ არის.

სამაგისტრო პროგრამას ხელმძღვანელობს კვალიფიციური პროფესორი, რომელსაც მრავალწლიანი სამეცნიერო-პედაგოგიური სტაჟი და მდიდარი პრაქტიკული გამოცდილება აქვს. ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი სამეცნიერო მიღწევები. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისა და განხორციელებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. მისი მისი კვალიფიკაცია დასტურდება ნავთობისა და გაზის დარგის შესაბამისი განათლებით, პრაქტიკული გამოცდილებითა და სამეცნიერო ნაშრომებით; წლების განმავლობაში მუშაობს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, არის სამთო გეოლოგიური ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი. გარდა აკადემიური გამოცდილებისა, აქვს დიდი პრაქტიკული სამუშაო გამოცდილება. წლების განმავლობაში მუშაობდა ნავთობისა და გაზის დარგის შესაბამის ორგანიზაციებში. აღნიშნული დასტურდება შესაბამისი დოკუმენტებითა და ინტერვიუს შედეგებით.

საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სხვა სამსახურების ხელშეწყობით. პროგრამას უშუალოდ მოემსახურება სათანადო კვალიფიკაციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, რომლებიც მუშაობენ სტუ-ს შესაბამის სამსახურებსა და სტრუქტურულ ერთეულებში. დაწესებულებას შემუშავებული აქვს შიდა აქტი, რომლითაც განსაზღვრულია ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქციები და მოვალეობები. წინამდებარე ქვესტანდარტის შეფასება შესაძლებელი გახდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის მეშვეობით მხოლოდ ნაწილობრივ, მეტწილად კი ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით. სასურველი იქნებოდა, რომ დოკუმენტაცია, რომელიც მითითებულია თვითშეფასების ანგარიშში, ქვესტანდარტის აღწერის ნაწილში, სრულყოფილად ყოფილიყო წარმოდგენილი დაწესებულების მიერ. ამასთან, აღსანიშნავია, რომ დაწესებულების წარმომადგენელთა განცხადებით, უნივერსიტეტში პარალელურ რეჟიმში მიმდინარე რეორგანიზაციის ფარგლებში, ეტაპობრივად ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებელი აქტების განახლებისა თუ შემუშავების მიზნით მუშაობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები“
- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები და საქმიანობის წესი;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი ინფორმაცია (CV);
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაო აღწერილობები/ ფაკულტეტის თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- პროგრამების მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის ფუნქციები და ხელშეკრულების ნიმუშები;

<ul style="list-style-type: none"> • აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები; • პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება <ul style="list-style-type: none"> ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➤ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშისა და მასზე თანდართული დოკუმენტების თანახმად, სტუ ახორციელებს პროგრამაში ჩართული პერსონალის კმაყოფილების კვლევასა და შესაბამისი შედეგების გაანალიზებას. ამასთან, პერსონალის შეფასება ასევე ხორციელდება სტუდენტების მიერ. აღნიშნული დასტურდება განხორციელებული ინტერვიუს შედეგებითაც.</p> <p>პროგრამის პერსონალს გააჩნია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო შესაბამისი კომპეტენცია, რასაც ადასტურებს მათ მიერ ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული, ნაშრომები. აკადემიურ პერსონალს ასევე აქვს ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის გამოცდილება.</p> <p>ასევე, უმნიშვნელოვანესია პროფესორ-მასწავლებელთა ჩართულობა პროფესიული განვითარების ღონისძიებებში. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს გათვალისწინებით, რამდენიმე შემთხვევაში აუცილებელია პროფესიული განვითარების კურსებსა და ტრენინგებზე აქცენტების გაკეთება, მით უფრო, როცა ზოგიერთ შემთხვევაში 2009, 2010, 2014 წლის შემდეგ დგინდება პროფესიული კურსების თუ ტრენინგების გავლის არარსებობა. კარგი იქნება, მეტი ყურადღება მიექცეს სწავლების თანამედროვე მეთოდების, შეფასების სისტემისა და კრიტერიუმების, ასევე, დისტანციური სწავლების ხერხების აქტიურ პრაქტიკაში გამოყენებაზე.</p> <p>სტუ-ში ფუნქციონირებს საფაკულტეტო კომისიები, რომლებიც შექმნილია და ფუნქციონირებს რექტორის 2016 წლის 28 მარტის N42 ბრძანების საფუძველზე. მათ ერთ-ერთ ვალდებულებას წარმოადგენს აკადემიური პერსონალის მიერ ჩატარებული მეცადინეობების ხარისხის და საგანმანათლებლო პროგრამებთან შესაბამისობის შეფასება. მეცადინეობების ხარისხის შეფასების პროცესი წარმართება მეცადინეობაზე ფიზიკური დასწრებით ან/და მეცადინეობის ვიდეო ჩანაწერის შესწავლით. თვითშეფასების ანგარიშისა და ინტერვიუს შედეგების თანახმად, სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზე სისტემატურად ტარდება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, 2000 წლიდან გამოდის საერთაშორისო სამეცნიერო - ტექნიკური, საინფორ-</p>

მაცხოვრებელი, რეფერირებული ჟურნალი „საქართველოს ნავთობი და გაზი“, ხოლო 1998 წლიდან სამეცნიერო, საინჟინრო, საინფორმაციო, ანალიზური, რეფერირებადი „სამთო ჟურნალი“. ამ ჟურნალებში რეგულარულად იბეჭდება როგორც ფაკულტეტის თანამშრომლების, ასევე დარგის ადგილობრივი და უცხოელი სპეციალისტების სტატიები. ამასთან, ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების დეპარტამენტში ბოლო 5 წლის განმავლობაში მომზადდა და გამოიცა 1 მონოგრაფია, 4 სახელმძღვანელო, 98 სტატია, შეიქმნა 6 ელექტრონული სასწავლო კურსი.

თუმცა როგორც ინტერვიუს შედეგებით გამოიკვეთა, პერსონალის განვითარებაში ნაკლებად არის უზრუნველყოფილი ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის განხორციელება. გამოითქვა მზაობა, რომ შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში, პერსონალი მზადაა, მონაწილეობა მიიღოს უცხოელი სპეციალისტების მონაწილეობით ჩატარებულ ტრენინგებსა თუ სემინარებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები“
- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: <https://gtu.ge/>;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, CV-ები, სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი
- აფილირების წესი;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;
- ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკა;
- პერსონალის ტრენინგებში, სემინარებსა და კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
- პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, უნივერსიტეტმა გააგრძელოს პროფესორ-მასწავლებელთა მიერ პროფესიული განვითარების კურსებისა თუ ტრენინგების გავლის მიმართულებით მხარდაჭერა, ასევე, უზრუნველყოს მიღებული მონაცემების აქტიურ პრაქტიკაში ინტეგრირება.
- სასურველია დაწესებულება უზრუნველყოს პერსონალის განვითარების მიზნებისათვის მათი მონაწილეობა უცხოელი სპეციალისტების მიერ განხორციელებულ ლექცია-სემინარებსა თუ ტრენინგებში, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით, როგორც პროფესიაში ახალი ტენდენციების, ისე სწავლა-სწავლების მეთოდების გაცნობის უზრუნველსაყოფად.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სტუდენტებსა და განმახორციელებელ პერსონალს ემსახურება ცენტრალური და ფაკულტეტის ბიბლიოთეკა. ცენტრალურ ბიბლიოთეკაში შესაძლებელია სამკითხველო დარბაზით სარგებლობა, არსებობს სივრცეები შეხვედრებისა და ჯგუფური მუშაობისათვის, ასევე ბიბლიოთეკა აღჭურვილია საინფორმაციო-ტექნოლოგიური რესურსით, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით უზრუნველყოფილი ოთხი დარბაზით, რომლებიც, თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, უზრუნველყოფს შემდეგს:

- პრესისა და ინფორმაციის დარბაზი (მკითხველს შეუძლია გაეცნოს სხვადასხვა ქვეყნების სამეცნიერო, მხატვრულ და სხვა სახის ჟურნალ-გაზეთებს.);
- წიგნებისა და ჟურნალების ელექტრონული ვერსიების დარბაზი (წიგნადი და საჟურნალო ფონდის ელექტრონული ვერსიების გაცნობა-გამოყენება; ინტერნეტსაიტებით სასწავლო-სამეცნიერო და საინფორმაციო მასალების მოძიება; ბიბლიოთეკათაშორისო შეთანხმების საფუძველზე სხვადასხვა უმაღლესი სკოლების ელექტრონული კატალოგების გაცნობა; საერთაშორისო ონლაინ მონაცემთა ბაზებით სარგებლობა; სასწავლო პროცესებთან დაკავშირებული სხვადასხვა ინფორმაციის მოპოვება);
- ტექნიკურ მეცნიერებათა დარბაზი;
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარბაზი;

ბიბლიოთეკაში განთავსებულია პროგრამის სასწავლო კომპონენტების სილაბუსებით განსაზღვრული ყველა ძირითადი ლიტერატურა და დამხმარე ლიტერატურის უმეტესობა, უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები. ამასთან, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი და ლიტერატურის ელექტრონული საძიებო სისტემა. სტუდენტებსა და პერსონალისათვის უზრუნველყოფილია წვდომა საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე:

Cambridge University Press (<https://www.cambridge.org/core>) Royal Society Publishing – journals (<https://royalsociety.org/journals/>)

Bioone (<http://www.bioone.org/>)

IMF eLibrary (<http://www.elibrary.imf.org/?redirect=true>)

SAGE Journals (<http://www.eifl.net/publisher/sage-publications-ltd>)

Edward Elgar Publishing (<http://eifl.net/publisher/edward-elgar-publishing>)

Duke University Press (<https://www.dukeupress.edu/>)

ბიბლიოთეკის მთელ ტერიტორიაზე არის ინტერნეტზე წვდომა და უზრუნველყოფილია პრინტერით, ასლის გადამღები და სკანერის აპარატით სარგებლობის შესაძლებლობა. ბიბლიოთეკა მუშაობს კვირაში 6 დღე: ორშაბათი - პარასკევი 10:00 სთ. - 20:00 სთ; შაბათი 10:00 სთ. - 16:00 სთ. ასევე ფუნქციონირებს საგამოცდო ცენტრი, რელევანტური პროგრამებით აღჭურვილი კომპიუტერული აუდიტორიები. მეტწილად შექმნილია აუცილებელი პირობები (უწყვეტი ელექტროენერგია, გათბობის სისტემა, სველი წერტილები), მათ შორის სამედიცინო ცენტრი. აღნიშნული შეუზღუდავად ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისათვის. პროგრამის მიზნებისათვის არსებობს ნავთობისა და ბუნებრივი გაზის ფიზიკურ-ქიმიურ კვლევის ლაბორატორია და საბურღი ხსნარების ლაბორატორია. ლაბორატორიები აღჭურვილია ხელსაწყო-დანადგარებით, რომლებიც გამოიყენება ნახშირწყალბადების ფიზიკურ-ქიმიური კვლევისათვის, საბურღი ხსნარის პარამეტრების განსაზღვრისათვის. გარდა ამისა, არსებობს საბურღი დანადგარის მაკეტი, ქანმომწგრევი იარაღები, ავარიის საწინააღმდეგო ხელსაწყოები, ფენის გამომცდელი – „პაკერი“, პნევმოსაბურავი ჯალამბრისათვის და სხვა ხელსაწყო-ინსტრუმენტები. კორპუსის ყველა სართული უზრუნველყოფილია სახანძრო უსაფრთხოების სისტემებით და საევაკუაციო სქემებით.

სტუდენტები მეტწილად ინფორმირებულნი არიან არსებული რესურსების გამოყენების

შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ, თუმცა ინტერვიუს შედეგებით გამოიკვეთა, რომ საჭიროა მათი მეტად ინფორმირება დაწესებულების საბიბლიოთეკო რესურსების, მათ შორის, მათზე ონლაინ კავშირის წვდომის შესაძლებლობის თაობაზე, ქვეყანაში არსებული ეპიდსიტუაციის ვითარების გათვალისწინებით. ამასთან, ადგილზე დათვალიერებისა და შემდგომ ინტერვიუს შედეგებითაც გამოიკვეთა, რომ პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მეტწილად უზრუნველყოფს პროგრამის სასწავლო მიზნების განხორციელებას და სტუდენტებისათვის შესაბამისი ცოდნის მიწოდებას, თუმცა საჭიროებს განახლებას, თანამედროვე ტექნოლოგიების გათვალისწინებით. გარდა აღნიშნულისა, როგორც ფაკულტეტისა და ცენტრალური ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს განაცხადეს, უნივერსიტეტის ასი წლისთავის ღონისძიებასთან დაკავშირებით, უახლოეს მომავალში იგეგმება იმ სასწავლო კორპუსის მთლიანად რეაბილიტაცია და განახლება, სადაც ხორციელდება ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამა, რისთვისაც დაწესებულების ბიუჯეტში შესაბამისი ცვლილებების თაობაზე მუშაობა მიმდინარეობს ამჟამად. პროგრამის ხელმძღვანელის განცხადებით, პროგრამის დამსაქმებლის ხელშეწყობით, იგეგმება ლეობენის უნივერსიტეტის (ავსტრია) მიერ სტუ-ს ნავთობისა და გაზის მოპოვების ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის, უახლესი საინფორმაციო-ტექნოლოგიური სასწავლო პროგრამების გადმოცემა, რომლის გამოყენების თაობაზე ასევე უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი ტრენინგების ჩატარება ამავე უნივერსიტეტის მიერ.

დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი აქტივობები ხორციელდება **უნივერსიტეტის სასწავლო აუდიტორიებში, ბიბლიოთეკასა და კომპიუტერულ ცენტრში**. დისტანციური დათვალიერებით დადგინდა, რომ სასწავლო აუდიტორიები არის თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებით აღჭურვილი და სათანადო კეთილმოწყობილი. უნივერსიტეტში დამონტაჟებულია ხელის **დამუშავებისთვის აუცილებელი საშუალებები**. გარდა ამისა, უნივერსიტეტში დამონტაჟებულია შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანებისთვის ე.წ. „პანდუსები.“

ამდენად, უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სასწავლო გარემო მთლიანობაში იძლევა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- უნივერსიტეტის სტრუქტურა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: <https://gtu.ge/> ;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მუდმივად განახლებადი ფონდი;
- სამეცნიერო ბაზები/ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა;
- ვიზუალური დათვალიერება;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;
- სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები;
- გამოკითხვის შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტს აქვს შემუშავებული ერთიანი საუნივერსიტეტო ბიუჯეტი და პროგრამის საბიუჯეტო ფონდი. სამაგისტრო პროგრამის უზრუნველსაყოფად აუცილებელი ფინანსური რესურსები ინტეგრირებულია ერთიან საუნივერსიტეტო ბიუჯეტში.

უშუალოდ პროგრამის ხარჯები დაფინანსებულია ერთიანი საუნივერსიტეტო წესების შესაბამისად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამებისთვის ფინანსები განსაზღვრულია ფაკულტეტის ბიუჯეტში. ის ცენტრალური ბიუჯეტის ნაწილად განიხილება. საგისტრო პროგრამის ბიუჯეტის გამოანგარიშებას უზრუნველყოფს სამთო გეოლოგიური ფაკულტეტის მენეჯერის სამსახური.

პროგრამის ხარჯები მოიაზრებს: აკადემიური და დამხმარე პერსონალის სახელფასო სარგო და საშტატო განაკვეთის დატვირთვის მოცულობა; წლის განმავლობაში პროგრამის განვითარებისთვის გასაწევი ინფრასტრუქტურული ხარჯი (დენი, წყალი, გაზი, ინტერნეტი, კავშირგაბმულობა, ფოსტა, განვითარების ფონდი, ადმინისტრაცია, პრემია, დანამატი). პროგრამის ბიუჯეტის ფარგლებში გამოყოფილია რაოდენობის მიხედვით (20 სტუდენტზე) სხვადასხვა კომპონენტი:

- შემოსავალი ლარებში;
- საათების რაოდენობა ხელფასი აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის;
- პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო დამატებითი ხარჯი;
- საუნივერსიტეტო ადმინისტრირების ხარჯი;
- კომუნალური გადასახადები;
- ქონების, მიწის გადასახადები, მოსაკრებლები;
- ხარჯების საერთო ჯამი;
- ფინანსური ანალიზის შედეგი;
- განვითარების ფონდი %.

თუმცა ბიუჯეტში მკაფიოდ არ ჩანს აუცილებელი აქტივობების განსაზღვრული ხარჯები, კერძოდ, პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი პროექტების, შიდა გრანტების, მივლინებების, პროფესიული განვითარების, სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებისა და სხვა ხარჯები. ეს ქმნის იმის საფრთხეს, რომ წლის ფარგლებში განსახორციელებელი აღნიშნული აქტივობები ვერ შესრულდეს სრულად, თუმცა, როგორც ინტერვიუზე აღინიშნა, აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია სხვა ფაკულტეტებიდან გარკვეული თანხის გადმოტვირთვა.

ფაკულტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ხარჯთაღრიცხვა, გარდა შრომის ანაზღაურებისა და საქონლისა თუ მომსახურებისთვის გათვალისწინებული ხარჯებისა, მოიცავს მივლინების, ოფისის, სესიების, კონფერენციების სამეცნიერო და სხვა ხარჯები. ამასთან, როგორც ინტერვიუს დროს უსდ-ს ადმინისტრაციამ განაცხადა, საჭიროების შემთხვევაში მზად არის, რომ უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტიდან მოხდეს პროგრამის დაფინანსება.

უნივერსიტეტის მხრიდან გამოითქვა პროგრამის შეუფერხებლად განხორციელების მზაობა მისი წამგებიანობის შემთხვევაშიც. ძირითადად, გათვალისწინებულია პროგრამის კონკრეტული საჭიროებები და ჩანს, რომ ისინი ეკონომიკურად მიღწევადია. მიუხედავად ამისა, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მეტი სიცხადეა ბიუჯეტის დოკუმენტში შესატანი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები“;
- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ფაკულტეტის ბიუჯეტი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელსა და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები;
- პროფესორ-მასწავლებლებსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტის დოკუმენტში უფრო დეტალურად აისახოს პროგრამის საჭიროებებისთვის აუცილებელი ხარჯები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს

ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
უნივერსიტეტში შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმის პრინციპებად განიხილება:

2. მომხმარებელზე ორიენტირება;
3. ხელმძღვანელობის ლიდერობა;
4. თანამშრომელთა ჩართულობა;
5. მუდმივი გაუმჯობესება;
6. ფაქტებისა და მონაცემების საფუძველზე გადაწყვეტილებების მიღება;
7. პარტნიორებთან ურთიერთსასარგებლო ურთიერთობა.

აქვე საყურადღებოა, რომ, სტრატეგიული განვითარების გეგმის თანახმად, უნივერსიტეტის ერთ-ერთ ძირითად მიზნად მიიჩნევა სწავლის, სწავლებისა და კვლევის თავისუფლების, მობილობის შეუზღუდავი შესაძლებლობების, პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ერთიანობის უზრუნველყოფა. სასწავლო პროცესისა და საქმიანობის გაუმჯობესებაში, საბოლოო ჯამში, ჩართულია ყველა სტრუქტურული ერთეული და საუნივერსიტეტო-საფაკულტეტო საზოგადოების თითოეული წევრი. ისინი ქმნიან მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას. იგი განიხილება მართვის პროცესის კომპონენტების (დაგეგმვა, განხორციელება, შემოწმება და განვითარება) განუყოფელ ნაწილად. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მოქმედება შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, პოლიტიკასა და შიდა რეგულაციებს.

როგორც დოკუმენტაციიდან ირკვევა, სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზე მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. მის უფლებამოსილებაში შედის:

- ხელი შეუწყოს და მონიტორინგი გაუწიოს ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო პროცესსა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობას;
- გამოიყენოს ხარისხის შეფასებისთვის აუცილებელი ინსტრუმენტები;
- დაგეგმოს შეფასების პერიოდულობა, შეამოწმოს მატერიალური და ადამიანური რესურსის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებთან;
- შეაფასოს სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, პერსონალის პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხი, ჩაატაროს გამოკითხვები სამიზნე ჯგუფებში და სხვა.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობას კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად შეიქმნა თვითშეფასების ჯგუფი, რომლის წევრებს შორისაც გადანაწილდა უფლებამოსილებები. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და თვითშეფასების ჯგუფის წევრები მჭიდროდ თანამშრომლობენ ინფორმაციის მოძიება-გადამოწმებისა და სისტემატიზაციის თვალსაზრისით. როცა მომზადდა თვითშეფასების ანგარიში, ის და თანდართული დოკუმენტები განხილულ იქნა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შეთანხმება-წარდგენის მიზნით.

ირკვევა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, ძირითადად, ეფუძნება „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ პრინციპს. ეს კომპონენტები პირდაპირპროპორციულად არის ერთმანეთთან დაკავშირებული, კერძოდ, თუ ერთი ფაზა დასრულდა, ამას მოჰყვება მეორე ფაზის დაწყება, მეორე ფაზის ამოწურვა იწვევს მესამე ფაზის ამოქმედებას და სხვა.

(ა) დაგეგმვის ეტაპზე დგინდება შეფასების მიზანი და მეთოდოლოგია. შეფასების მეთოდოლოგიის ფარგლებში დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული აქტორების მოთხოვნების

შესწავლა-ანალიზის საფუძველზე, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას, რომელიც მოიცავს ცალკეული სამუშაო პროცესის მიზანსა და ამოცანებს. დაინტერესებული პირების მონაწილეობით ხდება პროგრამის შეფასება, დაგეგმვა, გამოსასწორებელი მხარეების აღმოსაფხვრელი ინსტრუმენტების შემუშავება, მონაცემების შეგროვება და მიღებული შედეგების გამოყენებით პროგრამის განვითარების გეგმის დასახვა.

(ბ) განხორციელების ეტაპის განხილვისას აქცენტები გადატანილია პროგრამის შეფასებაზე წინასწარ დაგეგმილი კრიტერიუმების მიხედვით. ამ პროცესში ხდება შემუშავებული სტატეგიის განხორციელება და შესაბამისი პროცედურებით მისი რეალიზების უზრუნველყოფა. ასევე, ფასდება სწავლების, სამეცნიერო-კვლევითი აქტივობები და შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხი. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ურთიერთობა თანამშრომლობაზეა დაფუძნებული. ამ პროცესში მნიშვნელოვანია პროგრამის განვითარებისთვის მიღებული გადაწყვეტილებებისა და შეფასების შედეგების გათვალისწინება. ამ მიზნით ტარდება ავტორიზაცია-აკრედიტაციის პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაციის შესახებ საკონსულტაციო შეხვედრები. ასევე, სხვადასხვა საჭიროების დასადგენად არსებითია სასწავლო პროცესის, პროგრამებისა და სასწავლო კურსების დახვეწა-განვითარებისთვის გამოკითხვებში მონაწილეობის მიღება.

(გ) უშუალოდ შეფასების ეტაპზე გამოიყენება შემოწმების ინსტრუმენტები იმის გასარკვევად, თუ რა მუშაობს და რა - არა. უნივერსიტეტის საქმიანობა ფასდება უნივერსიტეტის საქმიანობის ფაქტობრივი მონაცემების ანალიზის შედეგად და ეფუძნება შესაბამის კრიტერიუმებს. ამ პროცესის მიზანია, უნივერსიტეტმა ეფექტიანად იმუშავოს. პროგრამის განხორციელებისას ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოებული სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, ასევე, პერსონალის პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხის მუდმივი შეფასებისა და მონიტორინგის საფუძველზე მიიღება გარკვეული შედეგები, რომელთა ანალიზის შემდეგად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროგრამის გაუმჯობესებისთვის. ამასთან, წარმოებს სტუდენტთა კმაყოფილების, კურსდამთავრებულებისა და პოტენციური დამსაქმებლების სურვილების შესწავლა, ანალიზი და შეფასება. მიღებული შედეგების მიზანია სასწავლო პროცესში ნაკლოვანებების გამოვლენა და აღმოფხვრა.

(დ) განვითარების ეტაპის დროს გამოიყენება გამოკითხვები და მათ საფუძველზე წარმოიშობა პროგრამის მოდიფიცირების საჭიროება. აღნიშნულ პროცესს კურირებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის განხორციელებისთვის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს აქვს საინფორმაციო, მატერიალური და ადამიანური რესურსი. ამასთან, შექმნილია საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიები. კომისია ამოწმებს საგანმანათლებლო პროგრამებითა და სასწავლო კურსების გათვალისწინებული ლაბორატორიული აღჭურვილობის, სათანადო ლიტერატურისა და პროგრამის სხვა კომპონენტების შესაბამისობას ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მოთხოვნებთან, აგრეთვე პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულების პროცესის მიმდინარეობას.

მართალია, ხარისხის უზრუნველსაყოფის მიზნით უნივერსიტეტში სისტემატურად ხორციელდება გამოკითხვები, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობიდან ირკვევა ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დახვეწის საჭიროება. საქმე ისაა, რომ სტუდენტთა მხრიდან სასწავლო პროცესის შეფასებისას უნდა გაიმიჯნოს ხარისხის შეფასების ფორმები და ცალ-ცალკეა შესაფასებელი როგორც სასწავლო კურსები, ისე პროფესორ-

მასწავლებელთა საქმიანობა. ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ ეს ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას. ამასთან, დგინდება შიდა ხარისხის მომწესრიგებელი წესებში სტუდენტთა ყოველსემესტრული გამოკითხვების შედეგების თაობაზე პროფესორ-მასწავლებლებისთვის სისტემატურად ინფორმაციის მიწოდების აუცილებლობა. სწორედ ამის სათანადოდ შეფასება დაეხმარება მიდგომებისა და მეთოდოლოგიის გადაფასებას, სასწავლო პროცესის დახვეწას.

ასევე, უნივერსიტეტის „პროფესორ-მასწავლებელთა შეფასების სისტემისა და რეაგირების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 27 სექტემბრის დადგენილების პირველი პუნქტით დადგენილია, რომ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უზრუნველყოს მეცადინეობების ჩატარების ხარისხის პერიოდული შეფასება მეცადინეობებზე სპეციალური კომისიის დასწრებით. ამავე დადგენილების მეორე პუნქტის თანახმად, მეცადინეობის წამყვანი პედაგოგის შეფასება ხდება შეთანხმებული კითხვარით. დგინდება, რომ სასწავლო პროცესის გამჭვირვალობისთვის დაწესებულებას უნდა ჰქონდეს დოკუმენტი, რომლითაც იქნება განსაზღვრული უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების შეფასების პროცესი, მექანიზმები, კრიტერიუმები, პერიოდულობა, ამ საქმიანობაზე პასუხისმგებელი სუბიექტები, გამოვლენილ შედეგებზე რეაგირების პროცესი და ა.შ. ამასთან, მოსაწესრიგებელია სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კვლევის პერიოდულობასთან, ამ პროცესსა და მისი შედეგების გათვალისწინებასთან დაკავშირებული საკითხები ისე, რომ პერიოდულ შეფასებას შესასრულებლად სავალდებულო ხასიათი ჰქონდეს და არ იყოს მისი განხორციელება დამოკიდებული სუბიექტურ შეხედულებაზე. ასეთი დოკუმენტის შემუშავებისა და ყველა დაინტერესებული პირის ჩართულობის უზრუნველყოფა ხელს შეუწყობს შიდა მექანიზმების დახვეწას, ასევე შეფასების პროცესში დაინტერესებული აქტორის ფართო წრის ჩართულობას, შეფასებას კი ექნება პერმანენტული ხასიათი.

გარდა ამისა, დამსაქმებლების აზრით, მნიშვნელოვანია კომპიუტერული პროგრამების სათანადოდ ფლობასა და პრაქტიკულ კომპონენტებზე აქცენტირება. მართალია, აკრედიტაციის მიზნებისთვის ხდება დამსაქმებლების სურვილების გაგება, მაგრამ პროგრამის მუდმივი განვითარების კონტექსტში კარგი იქნება, შიდა აქტები ითვალისწინებდეს გარკვეული პერიოდულობით დამსაქმებლებისგან რჩევების მიღებას. დამსაქმებლებსა თუ სხვა დაინტერესებულ პირებთან მუდმივი კომუნიკაცია (გამოკითხვების წარმოება, კმაყოფილების კვლევა) და მათი უკუკავშირი უზრუნველყოფს პროგრამის გადახედვასა და ცვლილებების შეტანას, თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით. ეს დაწესებულებას მისცემს შესაძლებლობას, იყოს ორიენტირებული მუდმივ განვითარებასა და გამოკითხულ პირთა საჭიროებების გათვალისწინებაზე.

უნივერსიტეტს აქვს შემუშავებული „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შესრულებული ნაშრომის პლაგიატის არსებობაზე შემოწმების წესი,“ რომელიც არეგულირებს ელექტრონული პლატფორმა „Strikepagiarism.com“-ის დახმარებით სამეცნიერო ნაშრომების პლაგიატზე შემოწმების პროცედურას, გამოვლენილი შედეგების განხილვის, შედეგების გასაჩივრებისა და დარღვევების არსებობისას შესაბამისი რეაგირების წესს. თუმცა სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ჩატარებული ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ მათ ნაკლებად აქვთ ინფორმაცია ამ წესების თაობაზე. მართალია, კარგია ასეთი წესის არსებობა, მაგრამ ის საჭიროებს დახვეწას: უნივერსიტეტში შესრულებული ნაშრომის რამდენიმე სახე არის წარმოდგენილი ფრჩხილებში სახელმძღვანელოს, დამხმარე სახელმძღვანელოს, მონოგრაფიის, სტატიისა და სადოქტორო ნაშრომის სახით. თუმცა აღნიშნული წესი არ შეიცავს რაიმე

ჩანაწერს, რამდენად ვრცელდება ის სამაგისტრო ნაშრომის მიმართ. ამდენად, საჭიროა ამ წესში ცვლილების შეტანა იმ ფორმით, რომ სამაგისტრო ნაშრომი ფიგურირებდეს რამდენიმე პუნქტში, რათა ფორმალურ დონეზე მოწესრიგდეს აკადემიურ კეთილსინდისიერებაზე სამაგისტრო ნაშრომის შემოწმების საკითხიც.

ამასთან, „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შესრულებული ნაშრომის პლაგიატის არსებობაზე შემოწმების წესის“ მე-5 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, დადგენილია მსგავსების კოეფიციენტის დასაშვები მაქსიმუმი. კერძოდ, ნაშრომში, სახელმძღვანელოების გარდა:

- ა) მსგავსების კოეფიციენტი (SC)1 არ უნდა აღემატებოდეს 50%-ს;
- ბ) მსგავსების კოეფიციენტი (SC)2 არ უნდა აღემატებოდეს 5%-ს.
- გ) მსგავსების კოეფიციენტი (QC)3 არ უნდა აღემატებოდეს 20%-ს.

ამავე წესის მე-2 მუხლი შეიცავს ტერმინთა განმარტებებს. აქ განსაზღვრულია, რომ:

- მსგავსების კოეფიციენტი (SC)1 – ნაშრომის ნაწილი (პროცენტებში), რომელიც მოიცავს სხვა ლიტერატურულ წყაროებში არსებულ არანაკლებ 5-სიტყვიან ფრაზებს.
- მსგავსების კოეფიციენტი (SC)2 – ნაშრომის ნაწილი (პროცენტებში), რომელიც მოიცავს სხვა ლიტერატურულ წყაროებში არსებულ არანაკლებ 25-სიტყვიან მონაკვეთებს.
- მსგავსების კოეფიციენტი (QC)3 – ნაშრომის ნაწილი (პროცენტებში), რომელიც მოიცავს სხვა ლიტერატურულ წყაროებში არსებულ ფრაზებს ციტატების სახით.

ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ დიდი ნიშნულია აღებული სამაგისტრო ნაშრომში 50%-იანი მსგავსების კოეფიციენტის სახით იმ შემთხვევისთვის, როცა ნაშრომის ნაწილი მოიცავს სხვა ლიტერატურულ წყაროებში მინიმუმ 5-სიტყვიან ფრაზებს. ეს კიდევ უფრო ცხადია, თუ გავითვალისწინებთ, რომ სამაგისტრო საფეხურისთვის მნიშვნელოვან თავისებურებებს. ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მე-7 დონისთვის „პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის“ მოიაზრებს: „კომპლექსური, არაპროგნოზირებადი ან მულტიდისციპლინური სასწავლო ან/და სამუშაო გარემოს მართვასა და ადაპტირებას ახალი სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით, პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში წვლილის შეტანას, ასევე, სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებლობის აღებას; საკუთარი სწავლის დამოუკიდებლად წარმართვას.“ შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, სამაგისტრო ნაშრომში ჩანდეს ავტორის ინდივიდუალური ხედვა, წაკითხული კვლევების მისეული გააზრება, მეორე მხრივ, ციტირების ამხელა მაჩვენებელი შემცირდეს, რათა ციტირებულმა ფრაზებმა არ გადაფაროს მაგისტრანტის კვლევითი უნარები და დამოუკიდებლობის ხარისხმაც აიწიოს. ამასთან, თუ სამივე ტიპის მსგავსება გვხვდება სამაგისტრო ნაშრომში გამოდის, რომ დასაშვებია 75%-იანი (5+50+20=75) მსგავსება, რაც გაუმართლებელია მაგისტრატურის საფეხურისთვის.

ამ წესის მე-5 მუხლის მე-15 პუნქტის მიხედვით, თუ ნაშრომი შეიცავს პლაგიატს და მსგავსების კოეფიციენტების სიდიდე აღემატება დასაშვებ ნორმას, ნაშრომი არ დაიშვება დაცვაზე. შესაძლოა, ეს გაგებულ იქნეს ისე, რომ თუ ნაშრომი შეიცავს პლაგიატს, მაგრამ მსგავსების კოეფიციენტი დასაშვებ ნორმას არ აღემატება, შეიძლება ასეთი ნაშრომის დაცვაზე წარდგენა. საჭიროა ამ წესში ასეთი ინტერპრეტაციის საფრთხეები აღმოიფხვრას.

ასევე, თვითშეფასების ანგარიში ვერ გვაძლევს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ სრულყოფილ სურათს. ამასთან, თვითშეფასების დოკუმენტში ზოგიერთი სტანდარტი (პირველი, მეორე, მეხუთე) არ შეიცავს გასაუმჯობესებელი მხარეების ჩამონათვალს და, შესაბამისად, ამ მხარეების გამოსასწორებლად დაგეგმილ აქტივობებს. არადა პროგრამის მუდმივი დახვეწის კონტექსტში უმნიშვნელოვანესია ნაკლოვანი მხარეების იდენტიფიცირება და მათი აღმოფხვრის ღონისძიებების დაგეგმვა, ეს პროგრამის სრულყოფასაც დაეხმარება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები“
- თვითშეფასების ანგარიში;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 23 სექტემბრის N01-05-04/261 დადგენილება „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესის შესახებ“;
- უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 17 აპრილის N01-05-04/108 დადგენილება „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების შესახებ“;
- „ფაკულტეტებზე კომისიების შექმნისა და მათი რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ უნივერსიტეტის რექტორის 2019 წლის 19 ნოემბრის N01-09-10/273 ბრძანება;
- „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შესრულებული ნაშრომის პლაგიატის არსებობაზე შემოწმების წესის შესახებ“ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 12 ივნისის N01-05-04/152 დადგენილება;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 27 სექტემბრის დადგენილება N° 531 „სტუ-ს პროფესორ-მასწავლებელთა შეფასების სისტემისა და რეაგირების შესახებ“;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 6 მაისის დადგენილება N° 4501 „სტუ-ს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესის შესახებ“;
- ტის „პროფესორ-მასწავლებელთა შეფასების სისტემისა და რეაგირების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 27 სექტემბრის N531 დადგენილება;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებგვერდი: <http://gtu.ge/quality/> ;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- დამსაქმებელთა კვლევის შედეგები;
- კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელსა და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები;
- პროფესორ-მასწავლებლებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებსა და დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, დაიხვეწოს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, მეტი ეფექტიანობის მისაღწევად ცალ-ცალკე შეფასდეს სასწავლო პროცესი, კურსები და პროფესორ-მასწავლებელთა საქმიანობა; ასევე, ყოველსემესტრული შედეგების თაობაზე სისტემატურად მიეწოდოს ლექტორებს ინფორმაცია;
- მიზანშეწონილია „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შესრულებული ნაშრომის პლაგიატის არსებობაზე შემოწმების წესის“ დახვეწა ისე, რომ ის გავრცელდეს სამაგისტრო ნაშრომზეც და გადაიხედოს მსგავსების კოეფიციენტის დასაშვებობის ნიშნული.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია მუდმივი განვითარების მიზნით პროგრამის გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება და მათი აღმოფხვრის ღონისძიებების დაგეგმვა;
- პროგრამის მუდმივი განვითარების კონტექსტში სასურველია, დამსაქმებლებთან ხშირი კომუნიკაცია წარმოებდეს და შიდა აქტები ითვალისწინებდეს გარკვეული პერიოდულობით დამსაქმებლებისგან რჩევების მიღებას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალოზი

სამაგისტრო პროგრამის შეფასების გარე მექანიზმები გამომდინარეობს „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N65/ნ ბრძანებიდან. ამასთან, პროგრამის გარე შეფასების მექანიზმები ეფუძნება „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N99/ნ ბრძანებას.

ამასთან, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში **ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დებულების მიხედვით, რომლითაც დადგენილია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიზანი, ამოცანები და ფუნქციები.** გარდა ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმისა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ჩართულია გარე მექანიზმების შემუშავებაში, რათა სწავლებისა და კვლევის ხარისხი გააუმჯობესოს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის, რომ **უნივერსიტეტი აწარმოებს უცხოური უნივერსიტეტების (ყაზახსტანურ-ბრიტანული უნივერსიტეტის, აბერდეენის, ხარკოვის პოლიტექნიკური და სხვა უნივერსიტეტების) ანალოგ პროგრამებთან დადარებას.** მაგალითად, პროგრამების შედარება დაეფუძნა პროგრამის დასახელების, მისანიჭებელი კვალიფიკაციის, პროგრამის მიზნისა და დასაქმების ფარგლების კომპონენტებს. ამასთან, დარგის სპეციალისტები მონაწილეობდნენ გამოკითხვებში, განიხილეს პროგრამის პროექტი და შეიმუშავეს რეკომენდაციები.

როგორც **დოკუმენტაციიდან ირკვევა, გარე ხარისხის შეფასების ფარგლებში პროგრამის განსავითარებლად რეგულარულად ტარდება სტუდენტთა და დამსაქმებელთა გამოკითხვები.** ასევე, უნივერსიტეტმა მიიღო გარე კოლეგიალური შეფასება-გამოხმაურებები ქართული და უცხოური (მოსკოვის) უნივერსიტეტებიდან. უნივერსიტეტს პროგრამის გარე შეფასების ფარგლებში წარმოდგენილი აქვს გამოხმაურებები, რომლებიც მოიცავს პროგრამის მოკლე მიმოხილვას. თითოეული **გამოხმაურებიდან ჩანს, რომ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა პოზიტიურადაა შეფასებული, რაც, ცხადია, კარგია.** ამ გამოხმაურებების ფარგლებში გამოთქმულია რამდენიმე რეკომენდაცია:

- ნავთობისა და გაზის ინდუსტრიაში რამდენადაც ძირითად ენას წარმოადგენს ინგლისური, კარგი იქნება, სასწავლო კურსის სახელწოდება იყოს ბიზნესინგლისური ან პროფესიული ინგლისური;
- განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ინფორმაციული ტექნოლოგიების, კერძოდ, სპეციალიზებული კომპიუტერული პროგრამების დაუფლება-გამოყენებას;
- სასურველია სტატისტიკის კურსის შემოღება ავტომატიზაციისა და ოპტიმიზაციის პირობებში;
- კარგი იქნება პროგრამირების არსებობა;
- სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნების შესაძლებლობა დაეხმარება მაგისტრანტს

<p>დოქტორანტურაში სწავლების გაგრძელება-მოსამზადებისთვის და სხვა.</p> <p>პროგრამაში გათვალისწინებულია საქმიანი კომუნიკაციის ინგლისურენოვანი კურსი. როგორც დამსაქმებლებიც ამბობენ, მნიშვნელოვანია პრაქტიკულ კომპონენტსა და პროგრამულ უზრუნველყოფაზე, კომპიუტერული პროგრამების ფლობა-გამოყენებაზე აქცენტების გაკეთება. ალბათ, კარგი იქნებოდა პროგრამაში სპეციალიზებული კომპიუტერული პროგრამების შესახებ ერთი კურსის არსებობა ან უშუალოდ სასწავლო კურსებში მისი ელემენტების ინტეგრირება. მართალია, ჩანს გარე შემფასებელთა რეკომენდაციების უფრო მეტად გათვალისწინების საჭიროება, მაგრამ ინტერვიუებისა და მემორანდუმების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტი გამოთქვამს საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოებისა და უცხოური გამოცდილების გაზიარების მზაობას.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • სამაგისტრო პროგრამა; • გარე ექსპერტის შეფასება; • უცხოური უნივერსიტეტებიდან გამოხმაურებები; • თვითშეფასების ანგარიში. • სასწავლო კურსების სილაბუსები; • მემორანდუმები; • ვიზიტისას დანხორციელებული ინტერვიუს შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> • სასურველია, გარე ექსპერტის და უცხოელი კოლეგების მიერ გამოთქმული რეკომენდაციების, ასევე, უცხოური პროგრამების დადარებისას არსებული გამოცდილების უფრო მეტად გათვალისწინება პროგრამის მუდმივი დახვეწის მიზნით.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება</p> <p>პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>როგორც დოკუმენტაციისა და ინტერვიუს საფუძველზე დადგინდა, პროგრამის მონიტორინგისა და ხარისხის შეფასების პროცესში ჩართულია ყველა რგოლი. სახელდობრ, პროგრამის პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური/სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით. მათი მონაწილეობა გულისხმობს ინფორმაციის სისტემურ შეგროვებას, დამუშავებასა და ანალიზს. მიღებული შედეგები გამოიყენება პროგრამის განვითარებისთვის.</p>

ამასთან, აღნიშვნის ღირსია ის, რომ პროგრამის დასახვეწად ყოველი სასწავლო კურსის ბოლოს სტუდენტები აფასებენ კითხვარების მეშვეობით. უნივერსიტეტი იყენებს უცხოური უნივერსიტეტების ანალოგ პროგრამებს დადარებისა და თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, თუმცა იგრძნობა საერთაშორისო გამოცდილების უფრო ეფექტიანად გამოყენების საჭიროება, მაგალითად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით (დეტალურად იხ. 2.1 კომპონენტი).

პროგრამის მონიტორინგის კონტექსტში რეგულარულად მოწმდება მატერიალური რესურსი, მათ შორის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი. პროგრამის შეფასების პროცესში ჩართული არიან აკადემიური პერსონალი, დამსაქმებლები და დარგის სპეციალისტები, შეფასებები განხორციელდა დეპარტამენტის შეხვედრებისა და კითხვარების საშუალებით. კარგი იქნება, დაინტერესებულ პირთა პერმანენტული მონაწილეობა შეფასების პროცესში. მართალია, თვითშეფასების ანგარიში მითითებულია, რომ მიღებული ინფორმაციის შედეგები გაანალიზდა და პროგრამის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები განისაზღვრა, მაგრამ თუ თვითშეფასების ანგარიშს ვნახავთ, მასში ზოგიერთი სტანდარტი (პირველი, მეორე, მეხუთე) არ შეიცავს გასაუმჯობესებელი მხარეებს. არადა პროგრამის გაუმჯობესებისთვის უმნიშვნელოვანესია ნაკლოვანი მხარეების გამოკვეთა და მათი აღმოფხვრის გზების დაგეგმვა (დეტალურად იხ. 5.1 კომპონენტი).

ამასთან, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მიზნებიდან გამომდინარე, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი პერიოდულად მართავს საინფორმაციო და საკონსულტაციო შეხვედრებს უშუალოდ ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალთან. ამ პროცესში ჩართულია პროგრამების კოორდინატორიც.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მიზნით იქმნება საფაკულტეტო კომისიები (იხ. უნივერსიტეტის რექტორის 2016 წლის 28 მარტის N42 ბრძანება „საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიების შესახებ“), რომლითაც დამტკიცებულია კომისიების შემადგენლობები და აღნიშნული კომისიების რეგლამენტი. ამ რეგლამენტით განსაზღვრულია, რომ კომისიის მიზანი, პერიოდულად შეფასდეს ფაკულტეტის მიერ წარდგენილი და მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურის, შინაარსის, მათი სათანადო ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის, აგრეთვე, მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტების განხორციელების პერიოდული შეფასება. ამასთან, ცალკე პუნქტად გვხვდება ჩანაწერი, რომ თითოეული სასწავლო წლის ყოველ სემესტრში კომისიამ უნდა ჩაატაროს არანაკლებ სამი სხდომა. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს უფლება აქვს, კომისიას მოსთხოვოს კონკრეტული მიზნობრივი შეფასების ჩატარება. მოცემულ შემთხვევაში ვთვლით, რომ რეგლამენტში ნათლად უნდა ჩანდეს, რა მოიაზრება პერიოდულ შეფასებაში, ასევე, პერიოდული შეფასება სავალდებულო ხასიათის უნდა იყოს და ობიექტურ საჭიროებებს უნდა ეფუძნებოდეს. ასევე, აუცილებელია საფაკულტეტო კომისიის ფუნქციების მკაფიოდ განსაზღვრა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შესრულებული ნაშრომის პლაგიატის არსებობაზე შემოწმების წესი“ მოითხოვს დახვეწას. ასევე, სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებისა და კვლევების აკადემიური სტანდარტების შემოწმების მექანიზმი მოითხოვს მონიტორინგს, დახვეწას (დაწვრილებით იხ. 2.6 და 5.1 კომპონენტები). აშკარაა ამ მიმართულებით მონიტორინგის გაძლიერების საჭიროება.

ასევე, საყურადღებოა კორონავირუსის გავრცელების თავიდან ასაცილებლად უნივერსიტეტის

მიერ გატარებული პრევენციული ღონისძიებები. უნივერსიტეტმა შექმნა სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განსახორციელებლად სწავლების ონლაინ, შერეული და ჰიბრიდული ფორმები. უნივერსიტეტის წარმომადგენლებს ვთხოვეთ დისტანციური სწავლების ადმინისტრირების წესის ამსახველი დოკუმენტის გამოგზავნა, მათ მოგვწერეს ბმული, რომელზე გადასვლისას იხსნება ელექტრონული სწავლების პორტალი. აქვე მარჯვენა მხარეს წარმოდგენილია ინსტრუქციები როგორც სასწავლო მასალასა და დავალებასთან მუშაობის შესახებ, ისე პროფესორ-მასწავლებლებისთვის. ამ ინსტრუქციებში ფაქტობრივად ასახულია გზამკვლევები, რომლებიც ეხმარება ბენეფიციარებს ტექნიკური თვალსაზრისით დისტანციური სწავლებისას სათანადოდ მოქმედებაში. თუმცა ამ პირობებში მნიშვნელოვანია პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხი. „პერსონალურ მონაცემებთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, **ონლაინშეხვედრების, ონლაინსწავლების ამსახველი მასალა (ფოტო, ვიდეოგამოსახულება) არის ადამიანის პერსონალური მონაცემები.** ამიტომ პანდემიის პირობებში პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებით სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები უნდა აისახოს ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების თაობაზე წესში. გასათვალისწინებელია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული სააგენტოს მიერ 2020 წელს შემუშავებული რჩევები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ. მართალია, უნივერსიტეტს აქვს ელექტრონული სწავლების პორტალი, თუმცა, ექსპერტთა ჯგუფის აზრით, სასურველია, ელექტრონული **სწავლების ადმინისტრირების წესი ცალკე იყოს შემუშავებული და ამ წესმა დამატებით მოიცვას რამდენიმე საკითხი:**

- (1) მაგისტრანტის მიერ ასინქრონული დავალების მოთხოვნის საფუძველი (როდის და რა საფუძველით შეუძლია ამ სახის დავალების მოთხოვნა?);
- (2) შუალედური და ფინალური გამოცდების (და არა მხოლოდ ლექცია-სემინარების) ჩატარებასთან დაკავშირებული პროცედურების მოწესრიგება;
- (3) ლექციის ვიდეოჩაწერის წესების დასაშვებობის საკითხები, დამსწრეთაგან ნებართვის მიღება;
- (4) გარდა ტექნიკურისა, შინაარსობრივ საკითხებთან დაკავშირებით პროფესორ-მასწავლებელთა მხარდაჭერის ღონისძიებები;
- (5) ლექციების ჩანაწერების და/ან ფოტოების გამოყენება პერსონალური მონაცემების დაცვით და მხოლოდ სასწავლო მიზნებისთვის და სხვა.

ამდენად, **დგინდება უნივერსიტეტის მიერ დისტანციური სწავლების ადმინისტრირების წესის ცალკე დოკუმენტად შემუშავების თაობაზე.** კარგი იქნება, ამ დოკუმენტში, გარდა ელექტრონული სწავლების პორტალზე განთავსებული მონაცემებისა, სხვა საკვანძო საკითხების შესახებ ინფორმაციაც აისახოს. ეს უნივერსიტეტს დაეხმარებოდა ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფასა და პანდემიის გამოწვევების სათანადოდ მართვაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები“
- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;
- პროგრამის შეფასების პროცედურა;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: <https://gtu.ge/> ;
- უნივერსიტეტის სტრუქტურა;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკა;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;

<ul style="list-style-type: none"> • სტრატეგიული გეგმა; • ინტერვიუს ანგარიში; • გამოკითხვის შედეგები; • „პროფესორ-მასწავლებელთა შეფასების სისტემისა და რეაგირების შესახებ“ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 27 სექტემბრის №531 დადგენილება; • „საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიების შესახებ“ უნივერსიტეტის რექტორის 2016 წლის 28 მარტის N42 ბრძანება; • „ფაკულტეტებზე კომისიების შექმნისა და მათი რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ უნივერსიტეტის რექტორის 2019 წლის 19 ნოემბრის № 01-09-10/273 ბრძანება; • კოლეგიალური შეფასებები; • პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან; • მემორანდუმები/ხელშეკრულებები.
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • რეკომენდებულია, აქცენტები გაკეთდეს მონიტორინგის ღონისძიებების დახვეწაზე, პროგრამაში არსებული ნაკლოვანებების გამოვლენა-შევსებაზე, მათ შორის სამაგისტრო ნაშრომების შეფასების კრიტერიუმების, კვლევების აკადემიური სტანდარტების დახვეწასა და სილაბუსების ფორმალური მხარის დაცვის შეფასებაზე.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> • სასურველია, უნივერსიტეტმა ცალკე დოკუმენტად შეიმუშავოს ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი და მან მოიცვას სასწავლო პროცესის სრული ციკლი, კერძოდ, გარდა ელექტრონული სწავლების პორტალზე განთავსებული მონაცემებისა, სასწავლო პროცესის მართვის შესახებ საკვანძო საკითხები (შუალედური და ფინალური გამოცდების ჩატარება, ლექციების ჩაწერის დასაშვებობა, შინაარსობრივი საკითხების შესახებ მხარდაჭერა და სხვა).
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		✓		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში) -

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

„ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების“ რუსულენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა


დასკვნის გვერდების რაოდენობა: 51

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		✓		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა /ნინო დონდოლაძე/



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების


სახელი, გვარი, ხელმოწერა /კახა ქოიავა/



სახელი, გვარი, ხელმოწერა /მიხეილ ბიჭია/



სახელი, გვარი, ხელმოწერა /გიორგი რობაქიძე/



სახელი, გვარი, ხელმოწერა /დავით ფუტყარაძე/

